პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 28 (11032) | კვირა, 2 თებერვალი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება მოსკოვში

1 თებერვალს მოსკოვში დაიწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება.

ალისფერი ალმებით, ლოზუნგებითა და ტრანსპარანტებით არის მორთული ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ ერთ-ერთი საამქრო. აქ წინასაარჩევნო კრებაზე მოვიდა ათასობით მეფოლადე, მგლინავი, სხვა პროფესიათა მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები.

— ჩვენ დღეს სასიხარულო დღე გვაქვს, — თქვა „750“ დგანის უფროსმა ოსტატმა ი. ი. ტურტანოვმა. — შევიკრიბენით, რათა დავასახელოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი. წინადადება შემომაქვს ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ მეტალურგთა მრავალათასიანი კოლექტივის სახელით დეპუტატობის კანდიდატად დავასახელოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი.

წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი მეფოლადე პ. ზაბეგაევმა, ურნალ ნაზავის საამქროს მწონავმა მ. რომანოვამ, მგალავმა ს. კასატკინმა, ქარხნის პარტკომის მდივანმა ვ. ლომონოსოვმა.

კრების მონაწილეებმა ერთხმად დაადგინეს დაასახელონ **ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **კალინინის** საარჩევნო ოლქში.

ნ. ს. ხრუშჩოვის კანდიდატურა დაასახელეს აგრეთვე ქარხნებში „ფრეზერში“, „პროექტორში“, „ბორეცში“, პრესნის მანქანათაშენ ქარხანაში.

ლენინის სახელობის კულტურის სახლში გაიმართა „ტრიოხგორნაია მანუფაქტურის“ კომბინატის მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კრება. პირველი გამოვიდა საქსოვი ფაბრიკის ოსტატის თანაშემწე გ. ი. მოვჩანი და შეიტანა წინადადება, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კრასნაია პრესნის საარჩევნო ოლქში დაასახელონ მქსოველი ბარბალე ექვთიმეს ასული ფეოდოროვა.

— მრავალი წელია ვმუშაობ ამხ. ფეოდოროვასთან და კარგად ვიცნობ მას, — ამბობს მოვჩანი. — 1931 წელს ბარბალე ექვთიმეს ასული მოწაფედ მოვიდა კომბინატში. იგი მალე დაეუფლა რთულ პროფესიას და დამოუკიდებლად დაიწყო მუშაობა ჯერ ოთხ დაზგაზე, შემდეგ რვაზე, ახლა კი 12 ქაკარდის დაზგას ემსახურება. იგი აქტიური საზოგადოებრივი მუშაკია.

კრებამ მხურვალედ დაუჭირა მხარი ამხ. მოვჩანის წინადადებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **ბარბალე ექვთიმეს ასულ ფეოდოროვას** დასახელების შესახებ **კრასნაია პრესნის** საარჩევნო ოლქში.

ვაგონშემკეთებელი ქარხნის „1905 წლის რევოლუციის ხსოვნის“ კოლექტივის საერთო კრებაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამავე ოლქში დასახელებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი **კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი.**

სალ შენადნობთა კომბინატის კლუბში გაიმართა ამ საწარმოს კოლექტივის ხალხმრავალი კრება, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებას. ოსტატ ა. თ. ჩერნოზუბოვის, საამქროს კომკავშირული ორგანიზაციის მდივნის ბ. კომაროვის, ლაბორანტ ვ. ი. კორშუნოვას და სხვების წინადადებით საერთო კრებამ დაადგინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **ძერჟინსკის** საარჩევნო ოლქში დაასახელოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი **ანასტას ივანეს-ძე მიქოიანი** და ეთხოვოს მას დათანხმდეს კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში.

წინასაარჩევნო კრება გაიმართა მოსკოვის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში. დოცენტ ა. პ. ტრეტიაკოვის წინადადებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **ძერჟინსკის** საარჩევნო ოლქში დასახელებულია მოსკოვი — დამხარისხებელის დეპოს უფროსი მემანქანე **ვიქტორ გრიგოლის-ძე ბლაუენოვი.**

ორი ათასზე მეტი კაცი დაესწრო ქარხანა „მოსკაბელის“ წინასაარჩევნო კრებას. საწარმოს კოლექტივის სახელით ელექტრომონტიორმა გ. ი. კარატაევმა წინადადება შეიტანა დასახელონ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **მოსკოვის საქალაქო** საარჩევნო ოლქში **ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკი.**

ნ. მ. შვერნიკის კანდიდატურა დასახელებულ იქნა აგრეთვე დედაქალაქის ძერჟინსკისა და კრასნაია პრესნის რაიონების მთელ რიგ საწარმოებში. (საკდესი).

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სამხრეთ ოსეთის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა

სტალინირი, 31 იანვარი. (საქდესი). გაიმართა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სამხრეთ ოსეთის საოლქო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა. სამხრეთ ოსეთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. გ. ძაგოევმა ილაპარაკა ამოცანებზე, რომლებიც სამხრეთ ოსეთის საოლქო საარჩევნო კომისიის წინაშე დგას ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით.

სხდომამ მოისმინა საოლქო საარჩევნო კომისიის მდივნის ამხ. კ. კოლიევის ინფორმაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ორგანიზაციულ-ტექნიკური მომზადების მიმდინარეობის შესახებ. ოლქში ყველგან დამთავრდა საარჩევნო უბნების შექმნა, დაწესდა მათი საზღვრები და მიეკუთვნა ნომრები.

სხდომამ მოისმინა აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის საოლქო კავშირის თავმჯდომარის ი. გალდავას და სტალინირავაჭრობის დირექტორის გ. ხაჩატუროვის ინფორმაციები საარჩევნო უბნებისა და აგიტპუნქტების ყველა საჭირო მასალით უზრუნველყოფის შესახებ. კომისიის წევრებმა მოისმინეს კავშირგაბმულობის საოლქო კანტორის უფროსის ს. თიბილოვის ინფორმაცია საარჩევნო უბნებთან საოლქო საარჩევნო კომისიის კავშირის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.

საოლქო საარჩევნო კომისიამ დაამტკიცა მუშაობის გეგმა, გაანაწილა ფუნქციები წევრებს შორის და დაიწესა მორიგეობა.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა გაუმჯობესდა

ფაბრიკა-ქარხნებში, რკინიგზის კვანძის საწარმოებსა და საკოლმეურნეო სოფლებში გაჩაღებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება. სამტრედიის რაიონის მშრომელთა შორის 1.400-ზე მეტი აგიტატორი ეწევა მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას. ამომრჩევლებს აცნობენ არჩევნების დებულებას, გულდასმით მოუთხრობენ სოციალისტური დემოკრატიის, საერთაშორისო მდგომარეობისა და ჩვენს ქვეყანაში მომხდარ დიდ გარდაქმნათა შესახებ.

დიდი გამოცოცხლებაა აგიტპუნქტებში. განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობენ გორკის, კალინინის, კიკვიძის, სტალინის, დაბლა გომის, კულაშის ცენტრის და სხვა უბნების აგიტპუნქტები. აგიტპუნქტების გამგეებად მუშაობენ ტ. გეგუჩაძე, გ. ნანეიშვილი, თ. ფუტურიძე, კ. ძნელაძე, ნ. გაბედავა და სხვა ამხანაგები რაიონული პარტიული აქტივიდან, რომლებსაც წარსული არჩევნების დროს ამ დარგში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ.

გორკის აგიტპუნქტი (გამგე ტ. გეგუჩაძე) საარჩევნო უბანში სააგიტაციო მუშაობის ნამდვილი ცენტრია. აქ სისტემატურად ეწყობა ლექცია-საუბრები როგორც საარჩევნო კანონის შესახებ, ისე მიმდინარე პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე. ყურადღებას აქცევენ ახალგაზრდა ამომრჩევლებს, რომლებიც წელს პირველად მიიღებენ მონაწილეობას არჩევნებში. აგიტპუნქტში გამოვიდა კედლის გაზეთ „ამომრჩევლის ხმის“ პირველი ნომერი.

არჩევნებისათვის მზადების დღეებში საagიტაციო მუშაობა კარგად მოაწყო სავაგონო დეპოს პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი ნ. გრიგოლია). აგიტატორებად შერჩეული არიან თეორიულად მომზადებული და საქმით დაინტერესებული ამხანაგები. საამქროებისა და ცვლების მიხედვით მუშაობს 12 აგიტატორი. ვ. ციხისელი, ჯ. კაშია და სხვები საუბრებს წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით ატარებენ, გულდასმით ემზადებიან ყოველი საუბრისათვის. ამიტომ არის, რომ მათი საუბრები მუდამ შინაარსიანი, მიმზიდველი და მსმენელთათვის საინტერესოა. ამას იმითაც აღწევენ, რომ ყოველ საუბარს დეპოს წინაშე მდგომ კონკრეტულ ამოცანებს უკავშირებენ. დეპოს მთელი კოლექტივი ახლა არჩევნების აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგას და ენერგიის დაუზოგავად იბრძვის იმისათვის, რომ პირველი კვარტალის საწარმოო დავალება არჩევნების დღისათვის გაანაღდოს.

აგიტპუნქტების გამგეებისა და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა დასახმარებლად პარტიის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტი აწყობს სემინარებს. აქვე მოწყობილია საარჩევნო ლიტერატურის გამოფენა და შემოღებულია კონსულტანტების მორიგეობა.

პარტიის რაიკომის მომხსენებლები და ლექტორები რაიონის მშრომელთა წინაშე გამოდიან ლექცია-მოხსენებებით სსრ კავშირის საუბილეო სესიის მასალების, სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლების მოსკოვის თათბირის შედეგების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, სოფლის მეურნეობის მუშაკებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს მიმართვის, საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობის მისალმების შესახებ.

ვ. კოკპალეიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.



ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი ინგლისის გაზეთ „ტაიმსის“ უცხოეთის განყოფილების რედაქტორ ა. მაკდონალდთან

ინგლისის გაზეთ „ტაიმსის“ უცხოეთის განყოფილების რედაქტორმა აივერაკ მაკდონალდმა თხოვნით მიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ნ. ს. ხრუშჩოვს მიეღო იგი საუბრისათვის ზოგიერთ საერთაშორისო პრობლემაზე.

31 იანვარს ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ა. მაკდონალდი და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მასთან. (საკდესი).

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საქართველოს განყოფილების საორგანიზაციო ბიუროში

1 თებერვალს გაიმართა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საქართველოს განყოფილების საორგანიზაციო ბიუროს მორიგი სხდომა.

სხდომაზე სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრებად მიღებულ იქნა გაზეთების: „ზარია ვოსტოკის“, „საბჭოთა აფხაზეთის“, „აფსნი კაპშის“, „სოვეტსკაია აფხაზიის“ და სხვების, აგრეთვე საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ რედაქციების მუშაკთა დიდი ჯგუფი. (საქდესი).

საშუალო სკოლიდან-წარმოებაში

ყოველწლიურად საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ასობით ქუთაისელი ჭაბუკი და ქალიშვილი მიდის სამუშაოდ ფაბრიკა-ქარხნებში და მშენებლობებზე. ბევრმა ასახელა მშობლიური სკოლა. ერთი მათგანია მე-7 საშუალო სკოლის კურსდამთავრებული მარსელ მამარდაშვილი. იგი შარშან სიმწითის ატესტატით სამუშაოდ წავიდა ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში. კომკავშირელი ქალიშვილი მალე დაეუფლა ბბურღავის პროფესიას. ახლა დამოუკიდებლად მუშაობს ჩარხზე და ყოველდღიურ ნორმებს 150-200 პროცენტით ასრულებს. მ. მამარდაშვილმა ავტომობილმშენებელთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. სწორედ ამიტომ იყო, რომ იგი ქარხნის კოლექტივმა ერთსულოვნად დაასახელა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების ქუთაისის № 662 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში. მარსელ მამარდაშვილთან ერთად ავტომობილმშენებელთა რიგებში ჩადგნენ ამ სკოლის კურსდამთავრებულები ს. ტყემელაშვილი, კ. ობოლაძე, ე. რიაბუხა და სხვები.

წელს ამავე მე-7 სკოლას ამთავრებს 113 ჭაბუკი და ქალიშვილი. გაეცნენ რა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას, 68 ახალგაზრდამ, უკვე გამოთქვა სურვილი სამუშაოდ წავიდეს ფაბრიკა-ქარხნებში და მშენებლობებზე. ჭაბუკები ბ. ნიკოლაძე, მ. კუჭუხიძე, რ. შავგულიძე და სხვები საავტომობილო ქარხანაში წავლენ სამუშაოდ, ხოლო ქალიშვილებმა დ. ფხაკაძემ, ს. გოდუაძემ, თ. დანელიამ, ვ. საღრიშვილმა და სხვებმა გადაწყვიტეს აბრეშუმკომბინატში იმუშაონ და ფეიქრის პროფესიას დაეუფლონ.

იმათგან, ვინც წელს მე-2 საშუალო სკოლას ამთავრებს, ასზე მეტმა გამოთქვა საწარმოებში და ახალ მშენებლობებზე მუშაობის სურვილი. ამ სკოლის მეათეკლასელს კ. მეფარიშვილს გადაწყვეტილი აქვს საბინაო მშენებლობაზე იმუშაოს და ამით თავისი წვლილი შეიტანოს ბინების ნაკლებობის აღმოფხვრის საქმეში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას მხურვალედ გამოეხმაურნენ ქალაქის ყველა 27 საშუალო სკოლაში. წელს ქუთაისის საშუალო სკოლებს ამთავრებს და სიმწიფის ატესტატს იღებს 2.300-მდე ჭაბუკი და ქალიშვილი; მათს უმრავლესობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი სკოლის დამთავრებისთანავე წავიდეს წარმოებაში, ჩადგეს კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა რიგებში.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

• • •

სურათზე: ორჯონიკიძის სახელობის ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მბურღავი მარსელ მამარდაშვილი.

კომუნიზმის ხილული ნიშნები

„კომუნისტური პარტია, რომელიც ხელმძღვანელობს ვ. ი. ლენინის მითითებათა შესახებ, რომ „სოციალიზმი თანდათანობით აუცილებლად უნდა გადაიზარდოს კომუნიზმში“, საბჭოთა კავშირის ხალხთა ღონისძიებებს ახმარს თავისი საპროგრამო, ისტორიული მიზნის განხორციელებას, კაცობრიობის ყველაზე ადი, ყველაზე ამაღლებული იდეის — კომუნიზმის იდეის განხორციელებას.

მარქსიზმ-ლენინიზმი, რომელიც ადამიანის აზროვნების მწვერვალს წარმოადგენს, გვასწავლის, რომ კომუნიზმი არის საზოგადოებრივი განვითარების უმაღლესი საფეხური. ამ საფეხურზე საწარმოო ძალები, მეცნიერული და ტექნიკური პროგრესი, ადამიანთა ყოველმხრივი განვითარება ისეთ დონეს მიაღწევს, რომელიც საშუალებას მოგვცემს უხვად ეკმაყოფილნთ საზოგადოებრივი სიმდიდრე ა განვახორციელოთ წესი: თვითეული რომობს მთელი საზოგადოების საკეთილდღეოდ თავისი უნარის მიხედვით და ზოგადოებისაგან თავისი შრომისათვის ლებს მოთხოვნილების მიხედვით — ასთან შრომა გადავაქციოთ ცხოვრების უნებრივ მოთხოვნილებად, გავზარდოთ ომუნისტური შეგნება და ფართოდ განვითაროთ ზოგად-საკაცობრიო კულტურა. სოციალიზმი, კომუნიზმი, ათავისუფლებს რა ადამიანს ყოველგვარი სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან, ბნის საზოგადოების სულიერი ცხოვრების ყოველმხრივ განვითარების, პიროვნების აყვავების, ინიციატივის, ნიჭის გაკლინების პირობებს.

მშვიდობის მანიფესტში, რომელიც კომუნისტური და მუშათა პარტიების წარომადგენელთა თათბირმა მიიღო მოსკოში 1957 წლის ნოემბერში, ნათქვამია: „კომუნისტთა მიზანია აშენონ ისეთი საზოგადოება, სადაც უზრუნველყოფილი ქნება საყოველთაო კეთილდღეობა, ყველა ხალხის აყვავება, ერთა შორის მარადიული მშვიდობა“. ეს არის კომუნიზმის რეალური, ხილული ნიშნები. ისინი სულ უფრო ნათლად იხატება და უფრო მკაფიოდ გამოიყოფა თანამედროვე მსოფლიოში, თავს იჩენს საბჭოთა კავშირის, მთელი მსოფლიოს სოციალისტური სისტემის ხალხთა საქმეებით, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობით.

„კომუნიზმი, როგორც ახალი საზოგადოებრივი წყობილების უმაღლესი ფაზა, იზრდება და ვითარდება დამკვიდრებული სოციალიზმის მტკიცე ბაზაზე. სსრ კავშირში სოციალიზმის აშენებით შეიქმნა ყველა მატერიალური და სულიერი წანამძღვარი კომუნიზმში გადასასვლელად. კომუნისტური საზოგადოების აშენება ახლა ჩვენთვის მარტო მომავლის დიადი იდეალი როდია. მრავალი თაობის ამ ოცნებას, მეცნიერულ იდეას საბჭოთა ადამიანები კონკრეტულ სინამდვილედ აქცევენ. კომუნიზმის მშენებლობა საბჭოთა საზოგადოების უშუალო, პრაქტიკული, სასიცოცხლო ამოცანაა, რომელიც ჩუდება და აუცილებლად გადაწყდება ხალხთა მილიონნაირი მასების შრომით, შეგნებული შემოქმედებით.

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების დიდებული ნათელი შენობა სულ უფრო მკაფიოდ იხატება და სულ უფრო სრულყოფილ ფორმებს მიიღებს ყოველი ახალი წარმატებით საბჭოთა მუშების, გლეხების, ინტელიგენციის შრომაში, მათი შეგნების ზრდით, სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობით.

1957 წლის შედეგები მოწმობენ, რომ საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ახორციელებს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, დიდი წარმატებანი მოიპოვა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის განვითარებაში, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა, მოკავშირე რესპუბლიკების 1958 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმები ითვალისწინებენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ახალ აღმავლობას, ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის ამაღლებას როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით, ისე თვითეულ რესპუბლიკაში. ამ გეგმების წარმატებით აღსრულება ახალი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება კომუნისტური მშენებლობის გზაზე.

ახლის, კომუნისტური ხვალის ნიშნები, როგორც გაზაფხულის ახალგაზრდა ამონაყარი, ყველგან იჩენს თავს ჩვენი საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში. ისინი წარმოიშვებიან, იზრდებიან საბჭოთა ადამიანების კონკრეტული საქმეებით, მუშებისა და გლეხების ყოველდღიური შრომით ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში, შემდგომი ტექნიკური პროგრესით, ჩვენი სამშობლოს მდინარეებზე ახალი მძლავრი ჰიდროსადგურების მშენებლობით, უამირი მიწების გეგანტური სივრცეების ათვისებით, ხალხისათვის ბინების მშენებლობის დღემდე უმაგალითო მასშტაბით, ჩვენი მეცნიერების მიღწევებით, რომლებიც აოცებენ მსოფლიოს. კომუნიზმის ნიშნები ჩანს თავისუფალი საბჭოთა ადამიანის ხასიათში, მაღალ მორალურ სახესა და მოწინავე მსოფლმხედველობაში, რომლისთვისაც ყველაზე მაღლა დგას შეგნებული შემოქმედებითი შრომა საზოგადოების საკეთილდღეოდ.

სახავდა რა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს, ვ. ი. ლენინი მას უკავშირებდა საჭიროებას, რომ დავეწიოთ და გავუსწროთ ეკონომიურად ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს. ამ ქვეყნებს ისტორიულად ჩამოყალიბებული მიზეზების გამო საწარმოო ძალების უფრო მაღალი დონე ჰქონდათ, ვიდრე ჩვენს მსოფლიოში პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს. ლენინი ამბობდა, რომ ჩვენ „მივაღწევთ იმას, რომ დავეწიოთ სხვა სახელმწიფოებს ისეთი სისწრაფით, როგორიც ისინი არც კი ოცნებობდნენ... ასეთი სისწრაფე, თუ მოძრაობას ხელმძღვანელობს ნამდვილად რევოლუციური პარტია, ასეთი სისწრაფე ჩვენ გვწამს და ასეთ სისწრაფეს რადაც უნდა დაგვიჯდეს მივაღწევთ“.

ცხოვრებამ სავსებით დაადასტურა გენიალური ლენინური განკვრეტა. ამას მკვეთრმეტყველურად მოწმობენ ორმოცი წლის მანძილზე სსრ კავშირის ეკონომიური და კულტურული განვითარების შემაჯამებელი ციფრები და დიდებული პერსპექტივები, რომლებიც დასახულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საუბილეო სესიაზე.

მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არასოდეს არ ყოფილა ეკონომიკისა და კულტურის ასეთი მჩქეფარე, სწრაფი განვითარება, როგორც საბჭოთა კავშირში. 1918-დან 1957 წლამდე სსრ კავშირში სამრეწველო პროდუქციის მატების საშუალო წლიური ტემპი შეადგენს 10 პროცენტს, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში — 3,2 პროცენტს, ინგლისში — 1,9 პროცენტს, საფრანგეთში — 3,2 პროცენტს.

საბჭოთა ქვეყანას უახლოეს 15 წელიწადში შეუძლია არა მარტო დაეწიოს, არამედ კიდეკაც გადაუსწაროს ამერიკის შეერთებული შტატების უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოების თანამედროვე მოცულობას. საბჭოთა კავშირი ჩაება ეკონომიურ შეჯიბრებაში თანამედროვე კაპიტალისტური სამყაროს ყველაზე მძლავრ ქვეყანასთან იმისათვის, რომ განვითაროს თავისი ეკონომიკა იმ დონეზე მაღლა, რომლისთვისაც ოდესმე მიეღწევია ან შეიძლება მიაღწიოს კაპიტალიზმის ეკონომიკამ. და ჩვენ ვიცით, რომ ეს ამოცანა გადაწყდება. ამ ამოცანის გადაწყვეტა უდიდესი წვლილი იქნება კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

ყველა საბჭოთა ადამიანი უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა ცნობას, რომ რძის წარმოებამ ჩვენში უკვე მიაღწია ამერიკის შეერთებული შტატების წარმოების დაახლოებით 95 პროცენტს, რომ კარაქის საერთო წარმოების მხრივ ჩვენმა ქვეყანამ უკვე რამდენადმე გაუსწრო ამერიკის შეერთებულ შტატებს. ჩვენს სოფლის მეურნეობას ყველა პირობა აქვს, რომ უახლოეს წლებში დაეწიოს ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ.

სსრ კავშირის განვითარების სწრაფტემპზე შეიძლება ვიმსჯელოთ სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის მონაცემებით. უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა მოიყვანა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა ციფრები, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ როგორ იზრდება საბჭოთა ეკონომიკა ხუთწლედიდან ხუთწლედამდე, წლიდან წლამდე. კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობამ სახალხო მეურნეობაში 1957 წელს 14-ჯერ გადააჭარბა ამ დაბანდებათა მოცულობას მთელ პირველ ხუთწლედში.

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობამ ახლა ისეთ სიმაღლეს მიაღწია, რომ მას შეუძლია განვითარდეს უფრო სწრაფად, უზრუნველყოს წარმოების საშუალებათა განუწყვეტელ მზარდი წარმოება და საზოგადოებრივი სიმდიდრის დაგროვება ისეთი მასშტაბით, რომელიც საშუალებას მოგვცემს უმოკლეს ისტორიულ ვადაში შევქმნათ კომუნიზმის მატერიალურ-საწარმოო ბაზა.

ამასთან დიდი როლი უნდა შეასრულოს შრომის ნაყოფიერების განუხრელმა გადიდებამ, როგორც სახალხო მეურნეობის შემდგომი ზრდის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ძირითადმა, მთავარმა პირობამ. მხოლოდ შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი ზრდის საფუძველზე შეიძლება შევქმნათ მატერიალური და სულიერი სიკეთის სიუხვე და შემოვიღოთ განაწილების კომუნისტური პრინციპები.

კომუნიზმის მშენებლობა მილიონობით საბჭოთა ადამიანის ცოცხალი, შემოქმედებითი საქმეა, რომლებსაც რაზმავს და შთააგონებს კომუნისტური პარტია.

ხალხის პოლიტიკური და შრომითი აქტივობის და ინიციატივის უდიდესი აღმავლობაა ამჟამად ჩვენს ქვეყანაში. საბჭოთა ხალხი, მჭიდროდ დარაზმული მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, ეგებება უმნიშვნელოვანეს კამპანიას — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს — ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებს.

საბჭოთა ხალხი აღსავსეა შემოქმედებითი ძალებით, ენერგიით და მხურვალე სურვილით აშენოს კომუნისტური საზოგადოება. ამისათვის მას აქვს ყველაფერი, რაც საჭიროა: ყოველმხრივ განვითარებული, გეგმიანი, სოციალისტური ეკონომიკის უპირატესობანი, რომლისთვისაც უცხოა კრიზისები, წარმოების ანარქია და უმუშევრობა; საბჭოთა ქვეყნის დაუშრეტელი მრავალფეროვანი ბუნებრივი სიმდიდრეები; სპეციალისტთა მაღალკვალიფიციური კადრები, რომელთაც უნარი შესწევთ გადაწყვეტონ ყველაზე რთული მეცნიერულ-ტექნიკური და საწარმოო ამოცანები; სხვა სოციალისტური ქვეყნების ხალხთა და მთელ მსოფლიოში ჩვენი მრავალრიცხოვანი მეგობრების მძლავრი მხარდაჭერა.

საბჭოთა ხალხს სათავეში უდგას ბრძოლებში ნაცადი, მარქსიზმ-ლენინიზმით შეიარაღებული კომუნისტური პარტია. კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების ბრძენი ორგანიზატორი და მგზნებარე სულისჩამდგმელია. კომუნიზმის მშენებლობის დიადი საქმისათვის ბრძოლაში საბჭოთა კავშირის ხალხები სულ უფრო მჭიდროდ და მჭიდროდ ირაზმებიან კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ხალხებმა ააშენეს სოციალიზმი, ისინი წყვეტენ უდიდეს ისტორიულ ამოცანებს და მიაღწევენ კაცობრიობის სანუკვარი მიზნის განხორციელებას — კომუნიზმის აშენებას.

„პრავდის“ 1/II მოწონავე.

ბაკურიანი

ბაკურიანი ... ბ ... ...

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის საარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხ. ი. ს. დოლიძის სიტყვა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ამხანაგებო! პარტიის XX ყრილობის შემდეგ იდეოლოგიური მუშაობის საკითხებისადმი ყურადღების გაძლიერების შედეგად საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა გააუმჯობესეს მარქსისტულ-ლენინური თეორიის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დადგენილებათა და უკანასკნელ დროს მიღებული დიდმნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტების შესწავლა.

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გარდაქმნეს იდეოლოგიური მუშაობა, დაუკავშირეს იგი ცხოვრებას, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების კონკრეტულ ამოცანებს. ამაღლდა პარტიული პროპაგანდის იდეურ-თეორიული დონე.

არსებული მონაცემები მეტყველებენ პოლიტიკური განათლების ფართო მასშტაბზე, მის რაოდენობრივ მხარეზე, მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა გვახსოვდეს, რომ პარტიული განათლების სისტემაში მთავარია სწავლების იდეურ-პოლიტიკური მხარე, მისი პოლიტიკური სიმახვილე, თეორიული სიღრმე და პრაქტიკული დანიშნულება.

კომუნისტთა პოლიტიკურ განათლებასა და საერთოდ პროპაგანდისტულ მუშაობაში ჯერ კიდევ არის ფორმალიზმისა და არაორგანიზებულობის შემთხვევები, ცალმხრივი აკადემიზმი, ცხოვრებისაგან პროპაგანდის მოწყვეტა ან, პირიქით, თეორიის როლის დავიწყება.

პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, ლექტორთა ჯგუფებმა უნდა აამაღლონ ლექციური პროპაგანდის ხარისხი, მისი იდეურ-თეორიული დონე.

კადრების იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაში. მთელ ჩვენს პროპაგანდისტულ მუშაობაში დიდ როლს ასრულებენ რესპუბლიკური გაზეთები „ზარია ვოსტოკა“ და „კომუნისტი“. „ზარია ვოსტოკამ“ სამართლიანად მოიპოვა მოწინავე, მებრძოლი, ინიციატივიანი გაზეთის სახელი. უკანასკნელ ხანს საგრძნობლად გამოცოცხლდა და გაუმჯობესდა გაზეთ „კომუნისტის“ მუშაობა. იგი უფრო მრავალფეროვანი, შინაარსიანი და მიმზიდველი გახდა.

მაგრამ ზოგჯერ, თუმცა იშვიათად, გვხვდება ისეთი ნომრები, რომლებიც მეტისმეტად გადატვირთულია ფოტოილუსტრაციებით და სხვადასხვა თვალსაჩინო სქემებით. ეს ეხება ორივე გაზეთს. საჭიროა გვახსოვდეს, რომ თვალსაჩინო და მიმზიდველი მასალის გადმოცემამ ხელი უნდა შეუწყოს გაზეთის იდეურ-პოლიტიკური სიმახვილის მკაფიოდ ჩვენებას და ოდნავადაც არ უნდა მისცეს გაზეთს პლაკატის ელფერი, არ უნდა შეამციროს მისი მებრძოლი პროპაგანდისტული როლი.

კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანების გადაჭრის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მეცნიერების სწრაფი, ცხოვრების მოთხოვნილების მიხედვით განვითარება. აქედან სავსებით გასაგებია ის დიდი ყურადღება, რომელსაც ანიჭებენ პარტია და საბჭოთა მთავრობა მეცნიერების აღმავლობას და სოციალისტურ პრაქტიკასთან მისი კავშირის შემდგომ განმტკიცებას.

საანგარიშო პერიოდში რესპუბლიკის ბევრმა უმაღლესმა სასწავლებელმა და სამეცნიერო დაწესებულებამ გააუმჯობესეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. გაიზარდა მეცნიერული პროდუქცია, გამოცემულია მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები და დამხმარე წიგნები. გაფართოვდა და განმტკიცდა მეცნიერების კავშირი მრეწველობასა და სოფლის მეურნეობასთან. მეცნიერებათა აკადემია, ამას წინათ შექმნილი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, რესპუბლიკის წამყვანი სამეცნიერო დაწესებულებები მუშაობენ აქტუალურ პრობლემებზე, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის შემდგომი სწრაფი განვითარებისათვის. ჩვენმა მეცნიერებმა მონაწილეობა მიიღეს სრულიად-საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო ყრილობებსა, კონფერენციებსა და სესიებში.

სერიოზული მიღწევებია მოპოვებული ისტორიის, ენათმეცნიერების, ხელოვნების ისტორიის, ლიტერატურის, მათემატიკა-მექანიკის, ფიზიოლოგიის, ფიზიკის, გეოლოგიისა და მეცნიერების სხვა დარგებში. საყოველთაოდ ცნობილია ქართული მათემატიკური სკოლა და მისი წარმომადგენლები. სამეცნიერო-კვლევითს მუშაობაში გარკვეული წარმატებები აქვთ სახელმწიფო უნივერსიტეტის, სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო, პოლიტექნიკური და რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტების მთელ რიგ კათედრებს. მაგრამ ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს სერიოზული ნაკლოვანებანიც. ბევრი რამ არ კეთდება იმისათვის, რომ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების სიმაღლიზე იყოს.

მნიშვნელოვნად ჩამორჩება თეორიული პრობლემების დამუშავებაში საზოგადოებრივ მეცნიერებათა ისეთი წამყვანი დარგები. როგორიც არის მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია, პოლიტიკური ეკონომია და ნაწილობრივ პარტიის ისტორია.

მეცხოველეობისა და ვეტერინარიის ინსტიტუტში, აგრეთვე ენერგეტიკის ინსტიტუტში არიან მეცნიერი თანამშრომლები, რომლებსაც რამდენიმე წლის მანძილზე არც ერთი მეცნიერული შრომა არ გამოუქვეყნებიათ. მეცხოველეობისა და ვეტერინარიის ინსტიტუტში მთელ რიგ განყოფილებათა გამგეებს მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხიც არა აქვთ.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ჯეროვან სიმაღლეზე არა დგას უცხო ენათა ინსტიტუტში, პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტსა და ზოგიერთ სხვა უმაღლეს სასწავლებელში.

არ უნდა დაუშვათ დაბალხარისხოვანი შრომების გამოქვეყნება. უნდა გავაძლიეროთ დისერტანტების, მეცნიერი ხელმძღვანელების, ოპონენტების და სამეცნიერო საბჭოების პასუხისმგებლობა შრომებისათვის და უზრუნველყოთ სამეცნიერო კადრების მომზადების საქმის შემდგომი არსებითი გაუმჯობესება.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა სტაბილური, მაღალიდეური სახელმძღვანელოებისა და დამხმარე წიგნების შექმნა. უკანასკნელ წლებში ამ მხრივ მნიშვნელოვანი მუშაობაა შესრულებული, მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ გასაკეთებელია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კოორდინაციის საკითხი ჯერჯერობით ვერ არის ისე მოგვარებული, როგორც საჭიროა. კვლავ ადგილი აქვს სამეცნიერო ძალების დაქსაქსვას და გაუმართლებელ პარალელიზმს.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დარგში ნაკლოვანებანი გაკეთებით მცირე იქნებოდა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეცნიერების, სკოლებისა და კულტურის განყოფილება, შესაბამისი საქალაქო და რაიონული პარტიული ორგანიზაციები საჭირო დახმარებას რომ უწევდნენ უმაღლესი სასწავლებლების და სამეცნიერო დაწესებულებების პარტიულ ორგანიზაციებს, სამეცნიერო საბჭოებს, კათედრებსა და განყოფილებებს.

ამოცანა ის არის, რომ გავაძლიეროთ ყურადღება სამეცნიერო მუშაობისადმი, განვახორციელოთ კონტროლი გეგმით გათვალისწინებული სამეცნიერო თემების შესრულებისადმი, გავაუმჯობესოთ შრომების ხარისხი, მოვაწყოთ შესრულებული ნაშრომების განხილვა, გავაძლიეროთ ავტორების, კათედრების, განყოფილებების და სამეცნიერო საბჭოების პასუხისმგებლობა თემატური გეგმების შესრულებისათვის, რათა უზრუნველყოთ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის აყვანა კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ამოცანების დონემდე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამას წინათ მიიღო დადგენილება იმ ახალგაზრდების სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჩაბმის შესახებ, რომლებსაც დამთავრებული აქვთ ან წელს ამთავრებენ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებს.

ამ დადგენილების მიღების შემდეგ თითქმის უკვე ორმა თვემ განვლო. მართალია, ამ ხნის განმავლობაში ზოგი რამ გაკეთდა, მაგრამ პრაქტიკულად ახალგაზრდობის წარმოებაში ჩაბმა ჯერ კიდევ არ დაწყებულა. დრო კი არ ითმენს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობასა და მშენებლობას ესაჭიროება წიგნიერი კადრები, რომლებსაც უნარი აქვთ სრულყოფილად დაეუფლონ უახლეს ტექნიკას და მართონ იგი. ამასთან დაკავშირებით პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიმართა ჩვენს ახალგაზრდობას მოწოდებით, რამაც დიდი ენთუზიაზმი გამოიწვია. საჭიროა ამ საქმეს სათავეში ჩაუდგნენ სათანადო პარტიული ორგანოები. კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებით თვითეული სკოლის მიხედვით დაიზუსტონ მოსწავლეთა კონტინგენტი, ჩაატარონ სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მათთან და დროულად გაანაწილონ ისინი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების გარკვეულ ობიექტებში.

წელს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც მისაღები კონტინგენტი 5.000 კაცით განისაზღვრება, როგორც წესი, პირველ რიგში მიღებულ იქნებიან საწარმოო სტაჟის მქონე ახალგაზრდები. საჭიროა სათანადოდ განვუმარტოთ ახალგაზრდობას შრომისა და საწარმოო გამოცდილების დიდი უპირატესობა და მნიშვნელობა მეცნიერების დაუფლების საქმეში.

აუცილებელია დავგმოთ და სასტიკად დავსაჯოთ ისინი, ვინც საწარმოო სტაჟის შესახებ ყალბი საბუთების საშუალებით ცდილობს შევიდეს უმაღლეს სასწავლებელში.

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნული იყო მნიშვნელოვანი წარმატებანი, რომლებსაც უკანასკნელ წლებში ქართულმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ მიაღწია. ქართველმა პოეტებმა და პროზაიკოსებმა შექმნეს მთელი რიგი მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი თარგმნილია რუსულ ენასა და სხვა მოძმე ხალხთა ენებზე. მათ დიდი ინტერესით ეცნობა მაღალი გემოვნების მქონე საბჭოთა მკითხველი. თანამედროვე ქართული პოეზია ერთ-ერთი ძოწინავეა მრავალეროვან საბჭოთა ლიტერატურაში.

საგრძნობლად გამოსწორდა ჩამორჩენა პროზის დარგშიც. შ. დადიანის „გვირგვილიანების ოჯახი“, ლ. ქიაჩელის „მთის კაცი“, კ. გამსახურდიას „ვაზის ყვავილობა“, ა. ბელიაშვილის „ულელტეხილზე“, ა. ქუთათელის „პირისპირ“, თ. დონღუაშვილის „ალაზანზე“, რ. ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი“, ლ. ავალიანის „ახალი ჰორიზონტი“, ა. ჭეიშვილის, კ. ლორთქიფანიძის, ს. კლდიაშვილის, დ. შენგელაიას და ზოგიერთი ახალგაზრდა მწერლის მოთხრობები მოწმობენ თანამედროვე ქართული პროზის აღმავლობას.

ლიტერატურის ჩამორჩენილ დარგად კვლავ რჩება ქართული საბჭოთა დრამატურგია. უკანასკნელ დროს ამ ჟანრში არ შექმნილა რაიმე მნიშვნელოვანი ნაწარმოები, თუმცა პიესები დიდი რაოდენობით დაიწერა. თანამედროვე პიესების ძირითადი ნაკლი ის არის, რომ მეტად უფერულად და პრიმიტიულად წარმოგვიდგენენ ჩვენს სინამდვილეს, ზოგჯერ კი დამახინჯებულად გვიჩვენებენ საბჭოთა ადამიანის სულიერ სამყაროს, საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი პათოსით აღსავსე ცხოვრებას. არ შევაჩერებ ყრილობის დელეგატების ყურადღებას ასეთ პიესებზე, რადგან მათი პრინციპული კრიტიკა მოცემული იყო უკანასკნელ დროს ჩვენს პრესაში.

ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების საერთო აღმავლობის პირობებში ჩვენი თეატრების რეპერტუარში თითქმის არ მოიპოვება თანამედროვეობისადმი მიძღვნილი ღირსეული სპექტაკლი. ამასთან ცნობილია, რომ საბჭოთა თეატრის შემოქმედებითი სახე, მისი საფუძველი თანამედროვეობის ამსახველი რეპერტუარით განისაზღვრება. კულტურის სამინისტროს ხელოვნების სამმართველომ და თეატრების ხელმძღვანელებმა უნდა გაიგონ, რომ მარტო ბრძანებებითა და ხელშეკრულებებით არ დაიწერება პიესები. საჭიროა შემოქმედებითი კავშირის განმტკიცება მწერლებსა და თეატრებს შორის, დრამატურგებსა და რეჟისორებს შორის.

მშრომელი მასების იდეურ-მხატვრული და კულტურული აღზრდის ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა ესტრადა. სამწუხაროდ, ჩვენი საესტრადო რეპერტუარი: ლექსები, სიმღერების ტექსტები, სკეტჩები მეტად დაბალ დონეზეა. რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ და სახელმწიფო ფილარმონიამ თვითდინებაზე მიუშვეს საესტრადო რეპერტუარის საქმე და ჩვენს ესტრადაზე წლიდან წლამდე ფეხს იკიდებს ყოვლად შეუწყნარებელი ხალტურა. ფილარმონიის სამხატვრო საბჭო თავის გულგრილობითა და სუსტი მომთხოვნილობით ერთგვარად ხელს უწყობს საესტრადო რეპერტუარის დანაგვიანებას უნიჭო, იდეურად არაფრისმთქმელი და მხატვრულად ყოვლად უსუსური ნაწარმოებებით. ჭეშმარიტად აქტუალური საზოგადოებრივი და საყოფაცხოვრებო პირობების ნაცვლად, ხშირად ესტრადიდან ჩვენს მაყურებელს სთავაზობენ მრავალჯერ გადაღეჭილ თემებს, უკბილო, ტლანქ ოხუნჯობას და უსუსურად შეკოწიწებულ ლექსებს.

საესტრადო რეპერტუარის შესაქმნელად და გასაჯანსაღებლად საჭიროა მიზიდულ იქნან მწერლები, ვალიფიციური იუმორისტები და სატირიკოსები, რათა ჩვენი ესტრადა შეეფერებოდეს დღევანდელობის მაღალ იდეურ-კულტურულ მოთხოვნებს.

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, აგრეთვე ყრილობის დელეგატთა გამოსვლებში საკმაოდ დაწვრილებით იყო აღნიშნული ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მდგომარეობა და დეკადისათვის მზადება. ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს დღეს შეუძლიათ მტკიცე პირობა მისცენ ყრილობას, რომ მომავალი დეკადა მოსკოვში კიდევ უფრო მაღლა ასწევს დიდი ისტორიული ტრადიციის მქონე ქართველი ხალხის თანამედროვე სულიერ კულტურას და ამით ღირსეულ წვლილს შეიტანს საბჭოთა ხალხის მრავალეროვანი კულტურის მდიდარ საგანძურში.

დიდ წარმატებებში, რომლებითაც შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობას რესპუბლიკის მშრომელები. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენმა სახელოვანმა ინტელიგენციამ — მეცნიერებმა, მწერლებმა, კომპოზიტორებმა, მსახიობებმა, რეჟისორებმა, განათლებისა და იდეოლოგიური ფრონტის სხვა მუშაკებმა, რომლებიც მჭიდროდ არიან დარაზმულნი კომუნისტური პარტიის გარშემო და მზად არიან მთელი თავიანთი ძალები მოახმარონ კომუნისტური საზოგადოების ძლევამოსილი მშენებლობის საქმეს.

ამხ. შ. ი. ჭანუყვაძის სიტყვა

საქართველოს კპ მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში მახარაძის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა.

პარტიულ-პოლიტიკური, სააგიტაციო-პროპაგანდისტული და მთელი იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებამ ხელი შეუწყო კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლებას, მშრომელთა მობილიზაციას პარტიისა და მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საბრძოლველად.

გასულ წელს რაიონში მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 23 მილიონი კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. დამზადდა და სახელმწიფოს ჩაბარდა 53 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი ანუ წლიური გეგმის 187 პროცენტი. 1957 წელს ერთ საფურაკე ძროხაზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.150 კილოგრამისა მიღებულია 1.277 კილოგრამი რძე.

რაიონის სამრეწველო საწარმოებმა სამშობლოს მისცეს 372 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 363 მილიონი მანეთისა, რაც საგეგმო დავალების 102,5 პროცენტს შეადგენს. ჩაის ათივე ფაბრიკამ წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და სახელმწიფოს მისცა 7 მილიონ 900 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

კოლმეურნეობებში სერიოზული ღონისძიებანი განხორციელდა სიმინდის მოსავლიანობის გასადიდებლად. საშუალოდ ერთ ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 18 ცენტნერისა მიღებულია 20.5 ცენტნერი სიმინდი. შრომის, ძიმითის, მერიის, მელექედურის, კონჭათის და ზოგიერთ სხვა კოლმეურნეობაში კი ერთ ჰექტარზე 30-დან 35 ცენტნერამდე სიმინდი მოიყვანეს. ძიმითის კოლმეურნეობაში სიმინდის მოყვანის ოსტატმა კ. ანდღულაძემ მისთვის მოსავლელად ჩაბარებულ ერთ ჰექტარ ფართობზე 143 ცენტნერი სიმინდი მიიღო.

ჩაის კულტურისადმი მშრომელთა დიდი მზრუნველობის შედეგად განუხრელად იზრდება მოსავლიანობა. გასულ წელს სრულმოსავლიანი 6.550 ჰექტარი ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მოკრეფილია 3.531 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, ხოლო შრომის, ნატანების, კონჭათის, თხინვალის და სხვა კოლმეურნეობებში — 4.300-დან 4.600 კილოგრამამდე ფოთოლი. მთელმა რიგმა ბრიგადებმა, რგოლებმა და ცალკეულმა კოლმეურნეებმა ჩაის ფოთლის სარეკორდო მოსავალი მიიღეს.

1960 წლისათვის რესპუბლიკაში უნდა დამზადდეს 165.000 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, ხოლო 1967 წლისათვის გათვალისწინებულია ჩაის ფოთლის მოსავლიანობის 190-200 ათას ტონამდე აყვანა.

ჩაის ფოთლის მოსავლიანობის მკვეთრად გადიდების ამოცანა მთელი სიმწვავით აყენებს საკითხს ჩაის მეურნეობაში მექანიზაციის დონის ამაღლების, განსაკუთრებით ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანის წარმოებაში ღაჩქარებით დანერგვის შესახებ. უამისოდ ძნელი იქნება ჩაის მოსავლიანობის გადიდების დარგში დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელება.

წელს მახარაძის რაიონის მშრომელებმა უნდა მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩაბარონ 25.525 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, ანუ გასულ წელთან შედარებით 2.500 ტონით მეტი. ეს მეტად პასუხსაგები დავალებაა და მისი განხორციელება თავდადებულ შრომას მოითხოვს. უნდა განვაცხადოთ, რომ ჯერ კიდევ ვერ შევძელით ყველა რეზერვისა და შესაძლებლობის გამოყენება ჩაის მოსავლიანობის გასადიდებლად. ნაგომრის, განახლების, ლიხაურის, მთისპირის, ხვარბეთის და სხვა კოლმეურნეობებში საშუალოდ ჰექტარზე 2.600-2.800 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფენ. რაიკომი იღებს ზომებს ამ კოლმეურნეობების წინწამოსაწევად.

ამ რამდენიმე დღის წინ ბელორუსიის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, სხვა მეტად საინტერესო საკითხებთან ერთად, დაიყენა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის რეორგანიზაციის საკითხი. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მტს-ების რეორგანიზაცია, მანქანა-ტრაქტორების კოლმეურნეობების მიერ შესყიდვა ხელს შეუწყობს კოლმეურნეობებში მოსავლიანობის გადიდებას და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. მტს-ების რეორგანიზაციის შემდეგ აღბათ საჭირო გახდება რაიონული საბჭოს აღმასკომთან შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო განყოფილება ან სამმართველო.

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რჩევით გასულ წელს ჩვენს რაიონში შეიქმნა საკოლმეურნეობათაშორისო ავტობაზა. ამ ღონისძიებას პირველ ხანებში ერთგვარი უნდობლობით შეხვდა კოლმეურნეობათა ზოგიერთი თავმჯდომარე, მაგრამ ავტობაზის ერთი წლის მუშაობის გამოცდილებამ ნათელყო ამ წამოწყების მიზანშეწონილობა და რენტაბელობა. ამჟამად არა მარტო რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონის, არამედ მოძმე უკრაინის, სომხეთის, მოლდავეთის და ზოგიერთი სხვა რესპუბლიკის წარმომადგენლები გულდასმით ეცნობიან მახარაძის ავტობაზის საქმიანობას, მის გამოცდილებას. ავტობაზის მიერ 1958 წლის 1 იანვრამდე გადაზიდულია 113 ათასი ტონა სხვადასხვა ტვირთი, საგეგმო დავალება შესრულებულია 120 პროცენტით. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კოლმეურნეობის ავტომანქანებთან შედარებით ავტობაზაში ტონაჟ-ლომეტრის ღირებულება ორჯერ უფრო იაფია. გასულ წელს 270.000 მანეთის დაგროვებამ შესაძლებლობა მისცა ავტობაზას თვით შეიძინოს კოლმეურნეობებისათვის გამოყოფილი ავტომანქანები.

რაიონის კოლმეურნეობებში გასულ წლებში საწარმოო და ადმინისტრაციული ხასიათის ნაგებობათა მშენებლობის განხორციელებამ მოამზადა ნიადაგი, რათა მტკიცედ მოგვეკიდნა ხელი კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა მშენებლობის ფართო მასშტაბით, გაჩაღებისათვის. ამ მიზნით პარტიის რაიონულმა კომიტეტმა და რაისაბჭოს აღმასკომმა შეიმუშავეს კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა მშენებლობის სამწლიანი პერსპექტიული გეგმა. ეს გეგმა განხილულ იქნა კოლმეურნეთა საერთო კრებებზე და სასოფლო საბჭოს სესიებზე, ხოლო შემდეგ მოიწონა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ. ამ გეგმის მიხედვით სამი წლის განმავლობაში ჩვენს რაიონს კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა ასობით ობიექტი შეემატება, აიგება 21 სასკოლო შენობა, 72 ბავშვთა ბაღი და ბაღი, 34 კულტურის სახლი და კლუბი და სხვ.

ეჭვი არ არის, რომ რაიონის მშრომელები მთელი თავიანთი ძალების მობილიზაციითა და შინაგანი რეზერვების გამოყენებით უზრუნველყოფენ დასახული გეგმის წარმატებით განხორციელებას.

მიუხედავად გაწეული მუშაობისა, პარტიის რაიკომსა და რაისაბჭოს აღმასკომს, რაიონის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს თავიანთ მუშაობაში აქვთ სერიოზული ნაკლოვანებანი, რის შესახებაც ითქვა ამას წინათ ჩატარებულ საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებებსა და რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე. პარტიის რაიკომი კომუნისტების კრიტიკული შენიშვნებიდან საჭირო დასკვნებს გააკეთებს და ყველა ზომას მიიღებს გამოაშკარავებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

ამხ. კ. ჯ. ხუბულავას სიტყვა

საქართველოს კპ გეგეჭკორის რაიკომის მდივანი

ამხანაგებო! კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა თანმიმდევრულად ახორციელებენ ღონისძიებებს ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის. ამ ზრუნვის პასუხად რაიონის მშრომელები თავდადებით იბრძვიან XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

რაიონში ამჟამად არსებული 33 კოლმეურნეობიდან 29 მილიონერია. 1957 წელს რაიონის კოლმეურნეობებში მიღებულია 52 მილიონ მანეთზე მეტი შემოსავალი. მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდების საერთო ღირებულებამ 110 მილიონ მანეთს მიაღწია, რაც 1953 წელთან შედარებით 30 მილიონი მანეთით მეტია.

რაიონის კოლმეურნეობათა შემოსავლის ძირითად წყაროს ჩაი წარმოადგენს. 1957 წელს, ამინდის ცუდი პირობების მიუხედავად, რაიონში მოკრეფილ იქნა 5.950 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი ანუ 600 ტონით მეტი, ვიდრე 1956 წელს. რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში ჩაის ფოთლის უხვ მოსავალს იღებენ. 1956 წელს საშუალოდ ერთ ჰექტარზე მიღებულ იქნა 2.030, ხოლო 1957 წელს — 2.400 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. ზრდა არის, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია. რაიონის კოლმეურნეობებმა ამოცანად დაისახეს 1960 წლისათვის ჩაის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე აიყვანონ 4.000 კილოგრამამდე.

წელს რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობამ უნდა მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩაბარონ 6.400 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. ამ ამოცანის წარმატებით შესრულება ბევრად არის დამოკიდებული ჩაის პლანტაციებში საზამთრო სამუშაოების მაღალხარისხოვნად და დროულად ჩატარებაზე.

ჩაის საბჭოთა მეურნეობები მუშახელის ნაკლებობას განიცდიან. დიდია კადრების დინადობა, რაც გამოწვეულია იმით, რომ მუშებისათვის შექმნილი არ არის ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობები. ნაკლოვანებებია ჩაის ფოთლის მიღების საქმეში. ცუდად მუშაობენ ჩაის ხარისხის ინსპექტორები. ზოგიერთი მათგანი ხშირად არაობიექტურად იქცევა და აფერხებს ჩაის ფოთლის მიღებას, რის შედეგად 1957 წლის ჩაის გადამუშავების სეზონის ბოლოსთვის რაიონის ჩაის ფაბრიკებში აღმოჩნდა 14.000 კილოგრამი ზედმეტი მზა პროდუქცია, რაც ჩაის ნედლეულზე გადაყვანით 55.000 კილოგრამს შეადგენს. ამრიგად, კოლმეურნეობებს მრავალი კილოგრამი ჩაის ნედლეული დაეკარგათ.

გაუგებარია, რატომ აქვთ ასეთი განუსაზღვრელი უფლებები მინიჭებული ჩაის ინსპექტორებს.

მეჩაიეობის ყველა რაიონი დიდი ხანია მოითხოვს საქართველოს ჩაის ტრესტის, აგრეთვე ჩაის მზა პროდუქციის შემფასებელი ბიუროს ადგილსამყოფელის გადატანას დასავლეთ საქართველოში (მეჩაიეობის რაიონებთან დაახლოების მიზნით). ეს საკითხი დაჩქარებით უნდა მოგვარდეს.

ძირითად მარცვლეულ კულტურას რაიონის კოლმეურნეობებში სიმინდი წარმოადგენს. 1957 წელს სიმინდის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 13 ცენტნერამდე გადიდდა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სიმინდის მოსავლიანობის გადიდების საქმეში ჩვენს რაიონში არსებული შესაძლებლობა მთლიანად არ არის გამოყენებული. რაიონის კოლმეურნეობებში მიწების სიმკვრივის გამო სიმინდი ყოველწლიურად ერთსა და იმავე ფართობზე ითესება, ნიადაგები გამოფიტულია და დაბალ მოსავალს იძლევა. ვთხოვთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1958 წელს რაიონის კოლმეურნეობებისათვის სიმინდის ფართობებში შესატანად გამოჰყოს 1.500 ტონა აზოტოვანი სასუქები.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული მერძეული პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდების საქმეში. 1957 წელს ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე რაიონის კოლმეურნეობებში წარმოებულია 80 ცენტნერი რძე ნაცვლად 1953 წელს მიღებული 30 ცენტნერისა. რაიონის კოლმეურნეობებში წველადობა ჯერ კიდევ მაინც დაბალია.

კოლმეურნეობები საჭირო ღონისძიებებს ახორციელებენ მეცხოველეობის პროდუქტიულობის გასადიდებლად, აგრეთვე ეფერმინველეობის განვითარებაში არსებული ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მექანიზაციას. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ რაიონის კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ დაბალია მექანიზაციის დონე. ეს გამოწვეულია მანქანა-ტრაქტორთა სადგურის სატრაქტორო პარკის სისუსტით. 27 ტრაქტორი, რაც ამჟამად სადგურს აქვს, ვერ აკმაყოფილებს რაიონის კოლმეურნეობების მოთხოვნილებებს, ამასთან სადგური სრულიად ეფექტიანად ვერ მუშაობს.

საჭიროა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 1958 წლისათვის გეგეჭკორის მანქანა-ტრაქტორთა სადგურს გამოუყოს „დტ-54“ მარკის 10 ტრაქტორი და სხვა მანქანა-იარაღები, აგრეთვე სახსრები სარემონტო სახელოსნოში სამონტაჟო სამუშაოების დასამთავრებლად, სადგურის მუშა-მოსამსახურეებისათვის ერთი საცხოვრებელი სახლისა და მანქანა-იარაღების შესანახი ფართის მშენებლობისათვის.

რაიონის სამრეწველო საწარმოთა შორის წამყვანია ჩაის ფაბრიკები, რომლებმაც 1957 წელს გამოუშვეს 70 მილიონ მანეთამდე მზა პროდუქცია და სახელმწიფოს მისცეს 2 მილიონ მანეთამდე ზეგეგმითი მოგება.

მაჩვენებლები უკეთესი იქნებოდა, რომ რაიონის ყველა ჩაის ფაბრიკა აღჭურვილი იყოს ახალი ტექნიკით. ბაძისა და დიდი ჭყონის № 1 ჩაის ფაბრიკები მუშაობენ მოძველებული სისტემის საღონები დანადგარებით, რაც ვერ უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას.

გეგეჭკორის რაიონის პარტიული ორგანიზაცია, რაიონის მშრომელები, რომლებიც მჭიდროდ არიან დარაზმულნი მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, პირობას აძლევენ პარტიის XVIII ყრილობას, რომ უფრო მეტი მონდომებით იმუშავებენ პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების ღირსეულად შესრულებისათვის.

ნოვაგორეული აზრის ფართო გაქანებისათვის!

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს ქანქანათმშენებელი და ელექტროტექნიკური მრეწველობის სამმართველოს საწარმოთა ნოვატორების მოწოდება

...მას წინათ საქართველოს სსრ ...ალხო მეურნეობის საბჭოს ...ქანათმშენებლობის და ელექ...ოტექნიკური მრეწველობის ...წარმოებში გაიმართა რაციო...ლიზატორთა, გამომგონებელ- ... და წარმოების ნოვატორთა ...ებები. კრებებზე შეაჯამეს ...57 წლის მუშაობის შედეგები ... განიხილეს ნოვატორთა წინა- 1958 წელს მდგომი ამოცანე- ... კრებების მონაწილეებმა ...იწონეს სვერდლოვსკის ოლ- ... რაციონალიზატორთა, გამომ- ...ნებელთა და ნოვატორთა მი- ...თვა ჩვენი ქვეყნის ყვე- ... ნოვატორისადმი, თავიანთი ...რივ მიმართეს საქართველოს ... რ სახალხო მეურნეობის საბ- ...ს საწარმოთა ყველა რაციო- ...ლიზატორს, გამომგონებელსა ... წარმოების ნოვატორს და ...ეუწოდეს უფრო ფართოდ გაა- ...ლონ შემოქმედებითი მუშაობა. 1957 წელს სამმართველოს საწარმოთა ნოვატორებმა შეიტანეს შვიდი ათასამდე რაციონალიზატორული წინადადება და მოგონება. მათმა დანერგვამ ...ეყანს ცხრა მილიონამდე მა- ...თი ეკონომია მისცა.

...წარმოების ნოვატორები განუ- ...ვეტლივ სრულყოფენ შრომის ...რხებსა და მეთოდებს, ავლე- ...ნ და იყენებენ სულ ახალ რე- ...რვებს სამრეწველო პროდუქ- ...ის გამოშვების გადიდებისათ- ...ს. მაგალითად, ქუთაისის საავ- ...ომობილო ქარხნის რაციონა- ...ლიზატორების გ. გენძეხაძის, ნ. ...ოტვიაკის, დ. კონსტანტინოვის, ... ფლეიშმანის, ნ. არჩაიას და ... რეხვიაშვილის წინადადებით ...ერქველის მბიძველის მექანი- ...ული დამუშავება შეცვლილია ...ხელი ტვითრვით, რაც იძლევა ...ერობით-წლიურ ეკონომიას 01.972 მანეთის რაოდენობით.

...თბილისის კიროვის სახელო- ...ის ჩარხმშენებელი ქარხნის ...ლარავის ს. ნაზარიოვის წინა- ...დადებათა დანერგვის შედეგად ...ნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ...ლარავი ჩარხების საექსპლოატაციო თვისებები, შეიქმნა ისეთი დეტალების ღარვის შესაძლებლობა, რომელთა დამუშავება ჰორიზონტალურ-საღარავ ჩარხზე წინათ არ ხერხდებოდა.

გაეცნენ რა სვერდლოვსკის ოლქის მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის რაციონალიზატორების, გამომგონებლებისა და ნოვატორების კონფერენციის მიმართვას, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათმშენებელი და ელექტროტექნიკური მრეწველობის სამმართველოს საწარმოთა რაციონალიზატორებმა, გამომგონებლებმა და ნოვატორებმა გადაწყვიტეს გამოაცხადონ ლაშქრობა პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და მასალების ეკონომიისათვის, წელს გასწიონ სულ ცოტა 1.400 ტონა ლითონის, 10 ტონა საწნეხე მასალის, 300 ტონა თხევადი ფოლადის, 600 ტონა სათბობის და 1,5 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგიის ეკონომია.

...კრებების მონაწილეებმა მოუწოდეს სამეურნეო ხელმძღვანელებს, პროფორგანიზაციების მუშაკებს დახმარება გაუწიონ ნოვატორებს და მიაღწიონ იმას, რომ მიმდინარე წელს სამმართველოს თვითეულ ქარხანაში შეიქმნას საჭირო საექსპერიმენტო ბაზა — საამქრო, სახელოსნო ან უბანი, სადაც დამზადდება საცდელი ნიმუშები და მოეწყობა წარმოების ნოვატორთა მიერ წარდგენილი სამარჯვებისა და მექანიზმების გამოცდა.

რაციონალიზატორული მოძრაობის წახალისებისა და განვითარების მიზნით გადაწყდა მოეწყოს შეჯიბრება რაციონალიზატორული მუშაობის მხრივ საუკეთესო საამქროს, ქარხნის საუკეთესო რაციონალიზატორის წოდებისათვის, უფრო ხშირად მოეწყოს კონკურსები, დათვალიერება რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის დარგში.

აბაშის რაიონში

★

დაბის კეთილმოწყობა

ყოველწლიურად ფართოვდება და კეთილმოწყობილი ხდება დაბა აბაშა. გასულ წელს აქ კეთილმოწყობისათვის დაიხარჯა 600 ათასამდე მანეთი. მოასფალტებულ იქნა გეგეჭკორის, სტალინის ქუჩები. ლენინის ქუჩაზე გაკეთდა ტროტუარი; მოეწყო აგრეთვე გაზონები, სკვერები.

• • •

მშრომელთა მოგასახურებისასვის

სამიქაოს სასოფლო კლუბში დაიდგა ახალი მუდმივი კინოდანადგარი. ამჟამად სისტემატურად ეწყობა კინოსეანსების ჩვენება. აბაშა-სამიქაოს ტრასზე დაინიშნა ახალი საავტობუსო მარშრუტი.

• • •

დახმარება მრავალშვილიან დედებს

გასულ წელს რაიონში მცხოვრებ მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს დახმარების სახით მიეცათ 412.815 მანეთი. სოციუზრუნველყოფის რაიონულმა განყოფილებამ წლის განმავლობაში გასცა 8 მილიონ მანეთზე მეტი პენსია.

• • •

ეთერ-ზეთების ქარხანაში

ეთერ-ზეთების ქარხანამ გადაამუშავა 354 ტონა რეჰანის მწვანე მასა და 104 ტონა გერანის მწვანე მასა.

ამჟამად ქარხანაში ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ევკალიპტის მწვანე მასის გადამუშავება. ქარხანა წელს გადამუშავებს 900 ტონაზე მეტ ევკალიპტის მწვანე მასას. უკვე გადამუშავებულია 237 ტონა. ევკალიპტის ნედლეულს უხვად აწვდიან კობულეთის, მახარაძის, ბათუმის და ზუგდიდის რაიონები.

ი. თოდუურია.

ახალი წიგნი

„ლაშარელა"

ქართულ ისტორიულ რომანს კიდევ ერთი ახალი ნაწარმოები შეემატა; ეს არის სახელგამის მიერ ახლახან გამოცემული გრიგოლ აბაშიძის რომანი „ლაშარელა" (მეცამეტე საუკუნის ქართული ქრონიკა).

რომანი დაწერილია ავტორის მიერ ისტორიული წყაროების შესწავლის საფუძველზე. წიგნში აღდგენილია საქართველოს წარსულის ერთ-ერთი მეტად დუხჭირი და ტრაგიკული ხანა. ეს ის პერიოდია, როცა შინაური და გარეშე მტრების მომძლავრების შედეგად ირღვეოდა ფეოდალური საქართველოს ძლიერება. წიგნში აღწერილია საქართველოს მეფის—ლაშა გიორგის ცხოვრება. რომანის პროლოგში ავტორი აღნიშნავს: „აქ თავდება „ლაშარელა" — ძლიერი ფეოდალური საქართველოს მზის ჩასვლის დასაწყისის წიგნი. „ლაშარელას" დანარჩენ გმირებს — თორელებსა და მხარგრძელს, რუსუდანსა და ჯალალედინს კვლავ შეხვდებიან მკითხველები მეცამეტე საუკუნის ქართული ქრონიკის ახალ წიგნში, რომელსაც „ლბათ, „თამთა" დაერქმევა".

წიგნი, რომლის სუპერი და ილუსტრაციები ეკუთვნის მხატვარ ა. ბანძელაძეს, კარგად არის გამოცემული, შეიცავს დიდი ფორმატის 328 გვერდს, ტირაჟი 20.000, ფასი 12 მან. 80 კაპ.

საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის წინ

ახალგაზრდა მხატვართა სახელოსნოებში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო გამოფენაზე მოსკოვში, რომელიც მთელი ჩვენი ქვეყნის სახვითი ხელოვნების გრანდიოზული დათვალიერებაა, საყოველთაო ყურადღება მიიპყრო საქართველოს სსრ ექსპოზიციამ. განსაკუთრებული წარმატება ხვდა მთელ რიგ ახალგაზრდა ქართველ მხატვართა ნაწარმოებებს, რომლებსაც ცენტრალურმა პრესამ — გაზეთებმა „პრავდამ", „კომსომოლსკაია პრავდამ", „სოვეტსკაია კულტურამ" და სხვ. მაღალი შეფასება მისცეს, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადისათვის ახალგაზრდა მხატვრები გაცხოველებით ემზადებიან. დეკადაზე წარდგენილი იქნება საიუბილეო გამოფენის საუკეთესო ექსპონატები, აგრეთვე ახალი ნამუშევრები, რომელთა სანახავად ჩვენ დღეს მხატვართა სახელოსნოებს ვეწვიეთ.

ჩვენი პირველი მასპინძელია ფერმწერალი გურამ ქუთათელაძე — თავისებური, საინტერესო მხატვარი. გარდა რთული კომპოზიციებისა, იგი წარმატებით მუშაობს მშობლიური პეიზაჟის შექმნაზე. საიუბილეო გამოფენაზე მოსკოვში საყოველთაო მოწონება დაიმსახურა მისმა ორმა ნამუშევარმა — „შემოდგომა გურიაში" და „დასავლეთ საქართველო". გ. ქუთათელაძის პეიზაჟებში იგრძნობა მხატვრის დაკვირვებული თვალი, განზოგადებული სურათის შექმნის უნარი. მისი ფერწერა ლაკონიურია. სურათების კოლორიტი თბილი, უმღერესად ქართული.

„საიუბილეო გამოფენაზე მრავალი პორტრეტია. ისინი სხვადასხვა მანერით არიან შესრულებული. მათ შორის არიან ნამდვილად მშვენიერნი. ნუთუ შეიძლება გულგრილად ჩაუარო ო. რადიმოვის „მწველავის პორტრეტს", ს. ჩუიკოვის „მეცხვარის ქალიშვილს", ზ. ნიკურაძის „მსახიობ გ. ბაქრაძის პორტრეტს" — წერდა „კომსომოლსკაია პრავდა".

ზურაბ ნიკურაძე ერთ-ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა ფერმწერალია, რომელმაც სულ ორიოდე წელია დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. ამის შემდეგ იგი სერიოზულად მუშაობს თავისი პროფესიული ოსტატობის სრულყოფისათვის. მისი პორტრეტები განირჩევა ფორმის დახვეწილობით, ფაქიზი გემოვნებით, დიდი პლასტიკურობით. მხატვარი ამყარებს სახის ნიშანდობლივ თვისებათა გამოყოფის მკაფიო უნარს.

მეტად საყოფიერი, საინტერესო ფერმწერალია ედმონდ კალანდაძე, რომლის რაღაც ნიმუშევარი — „ახალგაზრდა მხატვრის პორტრეტი", „აუზი" და სხვ. — წარმოდგენილია საიუბილეო გამოფენაზე. მხატვრის ძირითად შემოქმედების ამოცანას ამჟამად შეადგენს თავისი ფერწერული ოსტატობის მრავალმხრივი განვითარება-გაღრმავება, რა მომართულებითაც ეთუოდ მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია. თავის ნამუშევრებში მხატვარი აღწევს ფორმის სიმკვრივეს, მისი ფერწერა ტემპერამენტული და ინტენსიურია.

დედაქალაქის საზოგადოებრიობისა და პრესის მოწონება დაიმსახურა ა. ბანძელაძის მიერ შესრულებულმა „მხატვარ ნ. ჩიქოვანის პორტრეტმა". ახალგაზრდა მხატვარი მუშაობს აგრეთვე წიგნის ილუსტრაციის დარგში. მის მიერ შესრულებული „არსენას ლექსის" ილუსტრაციების სერია საუკეთესო შთაბეჭდილებას ტოვებს.

კოკა მახარაძე თავისი საუცხოო სადიპლომო ნამუშევრის შემდეგ „სუფოროვი და ბაგრატიონი ალბებში" აკრძელებს მუშაობას ბატალურ ჟანრში. ამჟამად ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მომავალი დეკადისათვის იგი წერს დიდ ისტორიულ ტილოს — „გამარჯვებას", რომელიც ასპინძის ბრძოლას ასახავს.

თბილისის სამხატვრო აკადემიის ასპირანტი გ. თოთიბაძე საიუბილეო გამოფენაზე წარმოდგენილია დიდი სურათით „მზადება ოლიმპიადისათვის". დეკადისათვის მხატვარი ამზადებს აგრეთვე ტილოს — „რუსთაველი მეფოლადეები", რომელიც ასახავს თანამედროვე ადამიანებს ინდუსტრიული შრომის პროცესში.

რეცენზენტები აღნიშნავენ დ. ხახუტაშვილის ხალისიან, კოლორიტულ სურათს „ჭიდაობას". ამჟამად მხატვარი წერს სურათს „ბათუმის დემონსტრაცია", რომელსაც დეკადისათვის ამზადებს.

ნაყოფიერად მუშაობს უკანასკნელი წლების მანძილზე გ. გელოვანი, რომელიც საიუბილეო გამოფენაზე ფართოდ არის წარმოდგენილი. განსაკუთრებული წარმატება დაიმსახურა მისმა პანომ „ახალგაზრდობამ". ნათელი ფერები, მზის სინათლე და პაერი — აი რა იზიდავს მნახველთ ამ სურათში. დეკადისათვის მხატვარი ამზადებს დიდ ტილოს „ვ. ი. ლენინი და ნ. კ. კრუპსკაია რაზლივში".

ფერთა ინტენსივობა და სიახლე, კოლორიტის იშვიათი გრძნობა ახასიათებს მეტად ნიჭიერი ფერმწერლის ჯ. ხუნდაძის ორიგინალურ ნატურმორტებს, რომელითაც იგი წარსდგება დეკადაზე.

ენერგიულად ემზადებიან დეკადისათვის აგრეთვე თ. სამსონაძე, დ. გაბიტაშვილი, მ. დურგლიშვილი, ო. სულავა, ქ. მეძმარიაშვილი, ს. ჩახოიანი, ვ. ქოქიაშვილი და სხვები.

ახალგაზრდა მხატვართა შორის თვალსაჩინო მიღწევები აქვთ აგრეთვე გრაფიკოსებს.

დიდი შინაგანი და გარეგნული კულტურით, ნახატის სიფაქიზით, კომპოზიციის გრძნობით განირჩევა ეთერ ანდრონიკაშვილის ფერადი ლითოგრაფიით შესრულებული ინდუსტრიული პეიზაჟები.

ლინოგრავიურის მდიდარ შესაძლებლობებს უნარიანად იყენებს მხატვარი რევაზ თარხან-მოურავი. მისი ლინოგრავიურებისათვის დამახასიათებელია დინამიკურობა, კომპოზიციის ორიგინალობა.

გრაფიკული პორტრეტების ავტორმა თეიმურაზ ყუბანეიშვილმა შექმნა „ოთარაანთ ქვრივის" კარგი ილუსტრაციების სერია, რომლებშიც მხატვარი, მიუხედავად ზოგიერთი ზერელე პორტრეტული დახასიათებებისა, ილიას გენიალური ნა-

ზ. ნიკურაძე — „მსახიობ გ. ბაქრაძის პორტრეტი".

ი. ოჩიაური — „სამგორის მოსავალი".

• • •

წარმოების ნიჭიერ ინტერპრეტატორად გვევლინება.

ნაყოფიერად მუშაობენ დაზგური გრაფიკის დარგში, ჩვენს ჟურნალებში, აგრეთვე წიგნის ილუსტრაციაზე ნიჭიერი მხატვრები დ. ერისთავი, დ. ნოდია, გ. ფირცხალავა, ლ. და რ. ცუცქირიძეები, ზ. ლეკვა, ე. ბერძენიშვილი, ლ. შენგელია და სხვ.

საყოველთაოდ ცნობილი, საერთაშორისო პრემიებით დაჯილდოებული ფილმების „მაგდანას ლურჯას" და „ჩვენი ეზოს" მხატვრები კ. ხუციშვილი და გ. გიგაური კინოსტუდიაში დაგვხვდნენ. მათი მეტყველი, ეფექტური, უაღრესად კინემატოგრაფიული დეკორაციები, კოსტიუმები, ტიპაჟი აღნიშნული ფილმების წარმატების მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენენ. ამჟამად მხატვრები მუშაობენ ახალი ქართული კინოფილმის „სხვისი შვილების" გაფორმებაზე.

მრავალი გამოფენის მონაწილენი არიან მოქანდაკეები — ძმები ირაკლი და გიორგი ოჩიაურები, რომლებსაც მათს სახელოსნოში ეწვიეთ. შთაგონებული, სერიოზული მოქანდაკეები ოსტატურად ფლობენ ყოველსაირ მასალას — მარმარილოს, ქვას, ხეს. ი. ოჩიაურის ქანდაკებებს ახასიათებს შინაგანი დინამიკურობა, ექსპრესია. პორტრეტის განზოგადების უნარი. ასეთებია მისი „ეკა-ფშაველა", „სტუდენტი ქალის პორტრეტი" და სხვ. ამჟამად ი. ოჩიაური მუშაობს ინჟინერ ი. ჯანდიერის პორტრეტზე, რომელსაც მარმარილოში აქანდაკებს. გიორგი ოჩიაური ბევრი ქანდაკების, პორტრეტისა და ბარელიეფის ავტორია. მისი „მელიტა" ქართული სულპტურული პორტრეტის ოვალსაჩინო მიღწევაა. ხეზე გამოკვეთილმა ბარელიეფებმა „წელიწადის ოთხი დრო" დიდი წარმატება მოუპოვეს ავტორს საიუბილეო გამოფენაზე.

გ. მაიაკოვსკის ცნობილი ქანდაკების ავტორს გ. კორძახიას საიუბილეო ჯამოფენაზე წარმოდგენილი აქვს სკულპტურა „ნიკოლოზ ბარათაშვილი" და „ქალიშვილის პორტრეტი".

თემის ორიგინალური გადაწყვეტით, შესრულების მკაფიოდ ინდივიდუალური მანერით განირჩევა ნიჭიერი ახალგაზრდა მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის ნამუშევარი „ქართველი ქალის პორტრეტი". დეკადისათვის მოქანდაკე ამზადებს „მოკრივის პორტრეტს".

ენერგიულად ემზადებიან სადეკადო გამოფენისათვის ა. გორგაძე, ბ. ავალიშვილი, ე. კაკაბაძე, ფ. მზარეულაშვილი, ბ. ციბაძე, ნ. ამაშუკელი, მ. სარაული, ლ. ცოტაია, ნ. ალექსიძე, ბ. ყანბინაშვილი და სხვ.

ახალგაზრდა მხატვრებთან შეხვედრის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებანი მდიდარი და მრავალფეროვანია.

საერთო თვისება, რაც ახალგაზრდა ქართველ ფერმწერლებს, მოქანდაკეებსა და გრაფიკოსებს ახასიათებს, არის უაღრესად გულწრფელი მისწრაფება დაალწიონ თავი მაღალფარდოვან პომპეზურობას, ხელოსნურობის რუტინას. მათს ნამუშევრებს ახასიათებს სიახლე, სინამდვილის აღქმის უშუალობა. ისინი დაკინებით ეძებენ ახალ გზებს, მრავალფეროვან შემოქმედებითს ხერხებს, ამყარებენენ სურვილს თავიანთ ნაწარმოებებში ილაპარაკონ სპეციფიკური ენით. მაგრამ სასურველია ჩვენმა ნიჭიერმა ახალგაზრდა მხატვრებმა უფრო დიდ და ღრმა თემებს მოაკიდონ ხელი, შექმნან საზოგადოებრივი ყოფიერების ნაწარმოებენი, გამოამჟღავნონ უფრო მეტი მგზნებარება, სისხლხორცეული დაინტერესება ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენებით. საჭიროა მათ გააშუქონ ჩვენი დღევანდელობის, ჩვენი ისტორიის შემოქმედთა დიდი ხასიათები.

ახალგაზრდა მხატვრებს ენთუზიაზმი და მონდომება არ აკლიათ. მათს სახელოსნოებში ჭეშმარიტად შემოქმედებითი ატმოსფერო სუფევს, მაგრამ დიდ ამოცანებს დიდი შესაძლებლობანი სჭირდება. მართალია, მხატვართა ფონდმა უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ახალგაზრდა მხატვართა ბინებით და სახელოსნოებით უზრუნველყოფისათვის, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. საჭიროა რა, გორც არსებული სახელოსნოების კეთილმოწყობა, რაც სრულიად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია (სახელოსნოებში არ არის გათბობა, წყალი, ელექტროგანათება), ისე ახალთა აშენება, რაც შეიძლება მეტი მხატვრების დაკმაყოფილება ინდივიდუალური სახელოსნოებით. ეს მომავალი შემოქმედებითი გამარჯვებების მნიშვნელოვანი საწინდარი იქნება.

ლ. მდივანი,
ლ. გაგრატიონი.

საგზოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 40 წლისთავისათვის

სვაღინგრადის დიადი ეპოპეა

...თხუთმეტი წლის წინათ, 1943 წლის ... თებერვალს, საბჭოთა საინფორმაციო ...იური იტყობინებდა:

„დღეს, 2 თებერვალს, დონის ფრონ...ის ჯარებმა მთლიანად დაამთავრეს ...ტალინგრადის რაიონში გარშემორ...ყმული გერმანელთ ფაშისტთა ჯარების ...ლიკვიდაცია. ჩვენმა ჯარებმა გატეხეს ...ტალინგრადის ჩრდილოეთით გარშემ...ორტყმული მტრის წინააღმდეგობა და ...ძლიეს იგი იარაღი დაეყარა. გასტრ...ილია მტრის წინააღმდეგობის უკანასკ...ნელი კერა სტალინგრადის რაიონში. ...943 წლის 2 თებერვალს ისტორიული ...რძოლა სტალინგრადთან დამთავრდა ...ვენი ჯარების სრული გამარჯვებით"..

...ეს იყო ომების ისტორიაში განუ...ეორებელი უდიდესი ბრძოლა, რომე...ლიც გამარჯვების შუქმოსილი დროშად ...ერმართა ფაშისტური მიხაკისფერი ჭი...ისაგან მსოფლიოს ხსნისათვის მე...რძოლთა გულებში

...გერმანელ ფაშისტ მტარვალებს, როცა ...ტალინგრადზე შეტევას იწყებდნენ, თა...იანთნი შორსგამიზნული გეგმები ჰქონ...ათ. ისინი ვარაუდობდნენ: სტალინ...რადის დაკავების შემდეგ აღმოსავლე...თიდან შემოეცლოთ მოსკოვისათვის, მო...წყვიტათ ჩვენი ქვეყნის ცენტრალური ...ონილი ვოლგისა და ურალის ზურგისა...ვის, შემდეგ დაერტყათ საბჭოთა კავ...შირის დედაქალაქისათვის, გაეხადგუ...რებინათ საბჭოთა არმია და თავიანთ სა...ერგებლოდ დეკემთავრებინათ ომი. ამას...თან, იმ მიზნით, რომ მთავარი მიმართუ...ლებიდან ჩამოეცილებინათ ჩვენი არ...მიის დიდი ძალები. გერმანელმა ფაშის...ტებმა იმავე დროს შემოუტიეს სამ...რეთს, გამოიერნენ კავკასიისაკენ, რა...ა დაეპყროთ გროზნო და ბაქო და ...ელთ ეგდოთ ჩვენი ნავთობის სიმდიდრე.

...ამრიგად, სტალინგრადის კედლებთან ...ამართულ ტიტანურ ბრძოლაში წყდე...ოდა ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ყოფ...ა-არყოფნის საკითხი. გერმანელმა ფა...ისტებმა სტალინგრადს უდიდესი რა...ოდენობით მიაყარეს ცოცხალი ძალა და ...ექნიკა. ისინი არაფრად აგდებდნენ ...ძმიმე ზარალს და ისწრაფვოდნენ რა...დაც უნდა დასჯდომოდათ მიეღწიათ გა...ერკვენებისათვის. სტალინგრადის ბრძო...ლამ ისეთი მასშტაბი მიიღო როგორ...აც ჯერ ისტორია არ მოსწრებია.

ვოლგის ნაპირებზე გამართულ ბრძოლას წინ უძღოდა გერმანელთა შემოტევა ვორონეჟის მიმართულებით. ამით მტერი ცდილობდა ზურგში მოქცეოდა მოსკოვს უმოკლესი გზით. მოწინააღმდეგის ჯარებმა, რომლებმაც აქ მარცხი განიცადეს, იწყეს წინსვლა სტალინგრადისაკენ და 1942 წლის იანვრის დამლევს უდიდესი ზარალის ფასად შეაღწიეს ჩვენი არმიის ნაწილები. დონის მოსახვევსა და ვოლგის შუა წელში გაჩაღდა გაფთრებული ბრძოლა, რომელშიც მილიონზე მეტი კაცი მონაწილეობდა. ამ ბრძოლით ცალკეულ ეტაპებზე ერთსა და იმავე დროს გამოყენებული იყო ორი ათასზე მეტი ტანკი, ორი ათასამდე თვითმფრინავი და 20 ათასზე მეტი ქვემები.

ახალ-ახალი ძალების მოშველიებით გერმანელმა ფაშისტებმა შეძლეს სტალინგრადის ცალკეული ჭუჭრების დაკავება, შეიჭრნენ სატრაქტორო ქარხნის რაიონში, ნახევრად-კედლად შემოერტყნენ ჩვენს ნაწილებს და სულ უფრო და უფრო აწვებოდნენ მათ ვოლგისაკენ. გერმანელებმა ლიბიიდან და დასავლეთ ევროპიდან მოხსნეს თავიანთი ჯარების რჩეული ნაწილები და სტალინგრადის წინააღმდეგ საიერიშოდ გადმოიყვანეს. მარტო სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანას ფაშისტებმა 8 ათასამდე ფუგასური ბომბი დააყარეს.

მაგრამ ჰიტლერელთა ურდოების მთელი ღონისძიებანი არარაობად აქცია საბჭოთა ჯარების უარყოფამ სიმტკიცემ. მტრის ყველა ტანკსა და ავიაბომბზე უფრო ძლიერი. გერმანელთა არტილერიის ყველა ზალპზე უფრო ძლიერი და მტკიცე აღმოჩნდნენ საბჭოთა ადამიანები — საბჭოთა არმიის მებრძოლები და მეთაურები, სტალინგრადის მუშები და ვოლგის ფლოტილიის მეზღვაურები. სტალინგრადის დამცველები სახელოვნად ასრულებდნენ სამშობლოს ბრძანებას: „არც ერთი ნაბიჯი უკან!", გმირულად იბრძოდნენ ვოლგისპირა მიწის ვიწრო ზოლზე, მამაცურად იცავდნენ ყოველ ჭოჩას. თვითეულ სახლს. სტალინგრადს იცავდა სსრ კავშირის ყველა ხალხი. სტალინგრადს იცავდა მთელი ჩვენი ქვეყანა. სექტემბრის შუა რიცხვებში გერმანელთა შემოტევა შეჩერებულ იქნა.

ამასობაში საბჭოთა არმიის უმაღლესი მთავარსარდლობა დიდ ოპერაციას ამზადებდა სტალინგრადისაკენ გამოჭრილ გერმანელ ფაშისტთა ჯარების გასანადგურებლად. 1942 წლის 19 ნოემბერს საბჭოთა არმია გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა სამხრეთ დასავლეთის, დონისა და სტალინგრადის ფრონტის ძალებით. ჩვენმა ნაწილებმა გაანადგურეს პრინსპირ მდგომი გერმანელ ფაშისტთა ურდოები და 23 ნოემბრისათვის შეკრეს რკალი მტრის დაჯგუფების ირგვლივ. გერმანელთა მე-6 და მე-4 სატანკო არმიები 22 რჩეული დივიზიით — 330 ათასი კაცის საერთო რაოდენობით და მრავალრიცხოვანი ტექნიკით გარშემორტყმულ იქნა ჩვენი ჯარების მიერ.

სრული მარცხით დამთავრდა გერმანელ ფაშისტთა სარდლობის ცდა — როგორმე ეხსნა სტალინგრადის „ტომარაში" მოქცეული თავისი ჯარები. საბჭოთა ჯარებმა 1942 წლის დეკემბრის განმავლობაში გაანადგურეს იტალიის მე-8 არმია აგრეთვე მტრის კოტელნიკოვოსა და ტორმოსინის დაჯგუფებანი, რომლებიც სტალინგრადში გარშემორტყმული არმიების დასახმარებლად მოისწრაფოდნენ ამაო სისხლისღერის თავიდან აცილების მიზნით საბჭოთა სარდლობამ მტრის ჯარების სარდლობასა და ყველა ოფიცერსა და ჯარისკაცს წარუდგინა ულტიმატუმი — შეეწყვეტათ უმიზნო წინააღმდეგობა. მაგრამ ჰიტლერელმა გენერლებმა უარყვეს ჩვენი სარდლობის ეს ჰუმანური წინადადება.

1943 წლის 10 იანვარს საბჭოთა არმიამ დაიწყო გენერალური შეტევა, რასაც მოჰყვა გერმანელ ფაშისტთა გარშემორტყმული დაჯგუფების მოსპობა და დატყვევება. ვერც ერთმა ჰიტლერელმა ვერ დაადწია თავი საბჭოთა ჯარების რკალს. ამ ბრძოლაში საბჭოთა არმიამ ლიკვიდაცია უყო მტრის ჯარების რჩეულ დაჯგუფებას, რომელიც სულ ცოტა 330.000 კაცს ითვლიდა. ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 91 ათასი ჰიტლერელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 24 გენერალი, მათ შორის სტალინგრადთან მოქმედი გერმანელთა ჯარების ჯგუფის სარდალი გენერალ-ფელდმარშალი პაულიუსი, 2.500 ოფიცერი და ხელთ იგდეს დიდძალი დავლა.

სტალინგრადის გმირული ბრძოლა შემობრუნების პუნქტი გახდა დიდ სამამულო ომში. ვოლგის ნაპირებზე მოპოვებული ისტორიული გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ჯარები შეტევაზე გადავიდნენ მთელი ფრონტით. საბჭოთა არმიამ ბრძოლით წაართვა ჰიტლერელ ოკუპანტებს ჩრდილოეთ კავკასია და უყბანი, მთელი რიგი მძიმე დამარცხება აგება მათ შუა დონისა და ვორონეჟის რაიონში, ლიკვიდაცია უყო მტრის პლაცდარმებს ცენტრალურ ფრონტზე (რჟევი-გჟატსკი-ვიაზმა) და დემიანსკის რაიონში, გაარღვია ლენინგრადის ბლოკადა. სტალინგრადის ბრძოლის ველზე საბოლოოდ დასამარებულ იქნა გერმანელ ფაშისტთა არმიის „უძლეველობის" მითი. სტალინგრადის შემდეგ დაიწყო ჩვენი წმიდა მიწა-წყლიდან მტრის მასობრივი განდევნა.

უდიდესია სტალინგრადის ეპოპეის ისტორიული მნიშვნელობა. რამდენიც დრო გადის ამ სამახსოვრო დღიდან, საბჭოთა ხალხი უფრო მეტად შეიგრძნობს ამ გამარჯვების მთელ სიდიადეს, მილიონობით ადამიანთა შეგნებაში გრანდიოზული სიდიადით წარმოსდგება საბჭოთა არმიის უმაღლესი მთავარსარდლობის, რომელსაც ი. ბ. სტალინი მეთაურობდა, გენიალური სტრატეგიული შთანაფიქრი და მისი დიდებული ორგანიზაციული განხორციელება. სტალინგრადის გამარჯვება წარმოადგენს სამხედრო ხელოვნების ისეთ ნიმუშს, რომლის ბადალიც კაცობრიობის ისტორიამ არ იცის.

ამ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებაში უდიდესი დამსახურება მიუძღვით კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილ სახელოვან მხედართუფროსებს საბჭოთა კავშირის მარშალ ა. მ. ვასილევსკის და არტილერიის მთავარ მარშალს ნ. ნ. ვორონოვს. ამხ. ვორონოვის უშუალო ხელმძღვანელობით ჩვენი არტილერია ანადგურებდა გერმანელ ფაშისტთა დივიზიებს სტალინგრადის რაიონში. ამხ. ვასილევსკი ხელმძღვანელ მონაწილეობას იღებდა ჩვენი ჯარების შეტევის ჩატარებაში ვორონეჟის სამხრეთით და კოორდინაციას უწევდა ვორონეჟისა და სამხრეთ დასავლეთის ფრონტების მოქმედებას.

დღეს ყველა საბჭოთა ადამიანი სიყვარულითა და პატივისცემით იხსენიებს საბჭოთა კავშირის მარშალ კ. კ. როკოსოვსკის, რომელიც სარდლობდა დონის ფრონტის ჯარებს, აგრეთვე სხვა გამოჩენილ მხედართუფროსებს — ვ. ი. ჩუიკოვს, ნ. თ. ვატუტინს, ლ. ა. გოვოროვს, ა. ი. ეროომენკოს, კ. ა. მერეცკოვს, ი. ი. მასლენიკოვს, თ. ი. ტოლბუხინს და სხვა სახელოვან გენერლებს, რომლებიც უნარიანად მიუძღოდნენ თავიანთ ჯარებს წინ და ფაშისტურ მხეცს ხერხემალი გადაუმტვრიეს სტალინგრადთან.

სტალინგრადის დაცვისათვის და მტრის დაჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლებში სხვა მოძმე საბჭოთა ხალხის შვილებთან მხარდამხარ გმირულად იბრძოდნენ ქართველი ხალხის ჩასნელნი შვილებიც. რომელი ერთი ჩამოთვალოს კაცმა. მათს ვაუკაცობასა და თავგანწირვაზე არა ერთი და ორი ამბაველვებელი ნარკვევი დაბეჭდილა ომისდროინდელ გაზეთებსა და ჟურნალებში. კურსკის ამასწინანდელი ამბების გმირი პოლკოვნიკი მიხეილ დიასამიძე სტალინგრადის დაცვის უაღრესად პოპულარული მონაწილე იყო თავისი ნაწილის მეომრებთან ერთად. მის შესახებ ცნობილი რუსი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ნიკოლოზ ტიხონოვი გაზეთ „იზვესტიის" 1943 წლის 1 იანვრის ნომერში წერდა:

„ვაკვირდებით რა ყოველივე იმას, რაც ამჟამად ხდება, ჩვენ გვესმის დიდების ხმები, რომლებიც ერთდება გამარჯვების შეწყობილ ჰანგებად. სიკვდილები, რომლებსაც წარსულში სხვადასხვანაირი ბედი ჰქონდათ, ახლა გაერთიანებულია ერთი ბედიღბლით. ხალხები, რომლებიც გათიშულნი იყვნენ საუკუნეობრივი უსამართლობით, ერთი დროშის ქვეშ გაერთიანდნენ საერთო ბრძოლაში.

...ეპოსის ხმები ვერცხლის საყვირივით ეკერს. ქართველი ხალხის შვილი დიასამიძე ებრძვის გერმანელთა ურდოებს, როგორც შავ ქაჯებს. ბრძოლის ოსტატები იყვნენ ძველი ქართული ეპოსის გმირები, მაგრამ დიასამიძე რადი ჩამოუვარდება მათ. მას ხომ არ ეზება სიტყვები ჭალარა წარსულის უსახელო მგოსნისა, ნათქვამი ამირანზე, რომელმაც მტრის შემოსევისას წამოიძახა:

მოვლენ და მეც აქ დავჯდები
ამ ჩემის გორდა ხმალითა,
სულ ყველას თავებს დაგიჭრი,
მარტო ვეღარ ომითა.

მკვდარ გზად გადააქცია დიასამიძემ გერმანელთა ბატალ

პრეზიდენტ ეიზენჰაუერის წერილი კონგრესისადმი ვაჭრობის საკითხებზე

ვაშინგტონი, 31 იანვარი. (საკდესი). გუშინ პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა კონგრესს გაუგზავნა სპეციალური წერილი, რომლითაც სთხოვს მიიღოს კანონი, რომელიც ნებას დართავს კიდევ 5 წლის განმავლობაში დაიდოს სავაჭრო შეთანხმებანი სხვა ქვეყნებთან „ურთიერთ სატარიფო დათმობათა“ საფუძველზე. როგორც პრეზიდენტის წერილი ცხადყოფს, იმის ნაცვლად, რომ მიაღწიოს საერთაშორისო ვაჭრობის ნამდვილ განვითარებას, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას განზრახული აქვს კვლავ განახორციელოს ისეთი სისტემა, რომელიც სხვა ქვეყნებს დააკავშირებდა ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ხელს შეუშლიდა ამ ქვეყნებს აწარმოონ ვაჭრობა სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან.

ეიზენჰაუერმა „ურთიერთ სატარიფო დათმობებზე“ დაფუძნებული სავაჭრო შეთანხმებების პროგრამა დაახასიათა როგორც „კომუნისტთა ეკონომიური შემოტევის“ წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება.

პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ დასავლეთმა „უნდა აღიაროს საბჭოთა კავშირის მზარდი შესაძლებლობანი ეკონომიურ დარგში. მისი მიღწევები ტექნიკისა და ინდუსტრიალიზაციის დარგში... შესაძლებლობას აძლევენ მიაწოდოს უკეთ, ვიდრე ოდესმე, მანქანური მოწყობილობა, მზა ნაკეთობანი და სხვა საქონელი, რომლებიც საჭიროა ბევრი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრებისათვის. სსრ კავშირის შესაძლებლობას ექსპორტის დარგში არ ჩამოუვარდება მისი შესაძლებლობანი და მზადყოფნა — აწარმოოს იმპორტი. სსრ კავშირი სულ უფრო ფართოდ მოითხოვს ნამეტის იმპორტს არაკომუნისტური სახელმწიფოებიდან“.

ეიზენჰაუერის მტკიცებით, ამჟამად საკითხი ასე დგას; „შეძლებს თუ არა თავისუფალი მეწარმეობის სისტემა, რომელსაც საფუძვლად უდევს კონკურენციის პრინციპი“, წარმატებით გაუძღოს შეჯიბრებას სოციალისტურ ქვეყნებთან. საგულისხმოა, რომ ეიზენჰაუერი „გამარჯვებას არ უწინასწარმეტყველებდა დასავლეთს. პირიქით, მან აღნიშნა, რომ დასავლეთი „ვერ მიაღწევს წარმატებას ამ საქმეში, თუ კაპიტალისტური ქვეყნები კვლავაც არ შეამცირებენ ბარიერებს, რომლებიც თვითონ მათ დაუდგეს ერთმანეთთან ვაჭრობას“. მან შიში გამოთქვა, რომ დასავლეთი წაგებს შეჯიბრებას სოციალისტურ ქვეყნებთან ვაჭრობის დარგში, თუ „ბაზრების დახურვა და ვალუტის ნაკლებობა აიძულებს თავისუფალი სამყაროს ქვეყნებს“ დაიწყონ ვაჭრობა საბჭოთა კავშირთან, რაც, მისი სიტყვით, „კომუნისტურ ბლოკზე დამოკიდებულების“ მომასწავებელი იქნება.

წერილში აგრეთვე აღნიშნულია, რომ შეერთებული შტატები კვლავ ეცდებიან ხედი შეუშალონ სხვა ქვეყნებს გააფართოონ ვაჭრობა საბჭოთა კავშირთან.

„დადგა მომენტი შევიკრიბოთ საერთო მაგიდასთან“

ბელგიის პრემიერ-მინისტრ ვან აკერის განცხადება

ბრიუსელი, 31 იანვარი. (საკდესი). გამოვიდა რა კრებაზე ქალაქ ჰალში, ბელგიის პრემიერ-მინისტრმა ვან აკერმა აღნიშნა, რომ „კეთილი ნების ყველა ადამიანი, ყველა ხალხი ესწრაფვის მშვიდობას“. „შეიარაღებაზე, — განაგრძო მან, — იხარჯება უდიდესი თანხები. მაგალითად, ბელგიაში ეროვნული თავდაცვის ბიუჯეტი შეადგენს სახელმწიფო ხარჯების 16 პროცენტს; რამდენიმე წლის წინათ იგი შეადგენდა 24 პროცენტს; ზოგიერთი ქვეყანა ახლა თავისი შემოსავლის 30-40 პროცენტს ხარჯავს სამხედრო საჭიროებისათვის...“ მილიონები, რომლებიც შეიარაღებაზე იხარჯება, თქვა პრემიერ-მინისტრმა, შეიძლებოდა წარმატებით გამოგვეყენებინა მეცნიერების განვითარებისა და სოციალური საჭიროებისათვის.

ვან აკერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მსოფლიო სახელმწიფოთა ხელმძღვანელი მოღვაწეებისათვის „დადგა დრო შეიკრიბონ საერთო მაგიდასთან, რათა გადაჭრან განიარაღების პრობლემა და უზრუნველყონ მშვიდობა. როცა ამას ვამბობ, დარწმუნებული ვარ, რომ გამოვხატავ მოსახლეობის უაღრესად ფართო ფენების გრძნობებს“.

ნორვეგიის პრემიერ-მინისტრ ე. გერჰარდსენის გამოსვლა

ოსლო, 31 იანვარი. (საკდესი). ნორვეგიის პარლამენტში კამათში საგარეო პოლიტიკის საკითხების გამო გამოვიდა ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი ე. გერჰარდსენი, რომელმაც აღნიშნა, რომ საჭიროა მოეწყოს მოლაპარაკება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ამჟამად, თქვა მან, იგრძნობა ასეთი მოლაპარაკების მწვავე საჭიროება. რამდენადაც ჩვენ ვიცით, ხაზგასმით აღნიშნა შემდეგ პრემიერ-მინისტრმა, რომ ახალი ომი არ შეიძლება იყოს გამოსავალი მდგომარეობიდან, ჩვენ კვლავ და კვლავ უნდა ვეცადოთ ვიაროთ მოლაპარაკების გზით.

თავის სიტყვაში გერჰარდსენმა კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნორვეგიის უარი — განალაგოს თავის ტერიტორიაზე ატომური იარაღი, ემყარება მის პოლიტიკას ბაზების მიმართ. მან მხარი დაუჭირა აგრეთვე საერთაშორისო შეთანხმების მიღწევას ატომური იარაღის გამოცდის დროებით შეწყვეტის შესახებ.

საქართველოს კურორტებზე სანატორიუმი პატარა დამსვენებლებისათვის

ბორჯომიდან 14 კილომეტრ მანძილზე მდებარეობს ცნობილი სამთო-კლიმატური კურორტი წაღვერი, რომელიც ლამაზი ტყით დაფარულ მთებშია მოქცეული. მის გარშემო ბევრი თვალწარმტაცი საკურორტო ადგილია. აქედან 4 კილომეტრზე მდებარეობენ დიდი ცემი და მზეთამზე. წაღვერს შუაში ჩამოუდის გუჯარეთის წყალი. კურორტი ზაფხულობით ათეულ ათასობით დამსვენებელს იზიდავს. აქ მოჰყავთ საბავშვო ბაგეებისა და ბაღების აღსაზრდელები, ეწყობა პიონერთა ბანაკები.

ახლა აქ სიწყნარეა იმის გამო, რომ კურორტი ზამთრის პირობებისათვის არ არის მოწყობილი. დამსვენებლები თითქმის არ ჩამოდიან, თუმცა სამკურნალო ეფექტიანობა ზამთარშიც არაჩვეულებრივად კარგია.

აქ ერთ-ერთ თვალწარმტაც, ასწლოვანი ფიჭვნარით დაფარულ ადგილას გაშენებულია წაღვერის საბავშვო ასსაწოლიანი სანატორიუმი, რომელიც მთელი წლის განმავლობაში მუშაობს. იგი განკუთვნილია 4-7 წლის ასაკის ბავშვებისათვის. აქ მკურნალობენ ბრონქიალური ჯირკვლებით დაავადებულ, სისხლნაკლებ ბავშვებს, რომლებიც ჩამოჰყავთ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან — მოსკოვიდან, რიგიდან, როსტოვიდან და სხვ.

სანატორიუმში კარგი პირობებია შექმნილი ბავშვთა გაჯანსაღებისათვის. ისინი დღეში 5-ჯერ მადიანად შეექცევიან მათთვის მომზადებულ გემრიელ კერძებს. აქ მუშაობს რენტგენის და სტომატოლოგიური კაბინეტები, ანალიზური ლაბორატორია, სააბაზანო და სხვ.

პატარების განკარგულებაშია მდიდარი საბავშვო ბიბლიოთეკა, სათამაშო კლუბები, სადაც არის საბავშვო ბილიარდები, მუსიკალური გასართობები. აწყობენ დილებს, კითხულობენ ლექსებს, თვეში ორჯერ აჩვენებენ საბავშვო კინოსურათებს. აღმზრდელი მასწავლებლები ე. ხაჩიძე, რ. აკიმოვა, ა. გეურჭოვა, ნ. დარბაიძე, ჯ. გაბელია ხშირად უკითხავენ ზღაპრებს, ასეირნებენ პაერზე, დაჰყავთ ექსკურსიებზე ახლო-მახლო ადგილებში — ცემის გადასახედზე, ტიმოთეს უბანში, მზეთამზეში, ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში და სხვ.

პატარები გარემოსილი არიან დედობრივი ალერსითა და სითბოთი. სანატორიუმის მთავარი ექიმი მარიამ ვაშაკიძე, ექიმი თინა სვანიძე, ექიმის თანაშემწე ეუფუნა რაზმაძე, დიასახლისი გალინა ჩომახიძე და სხვები პატარებს დღედაღამ თავს დასტრიალებენ. ამიტომ ბავშვები მალე ჯანსაღდებიან, მკვეთრად იმატებენ წონაში.

პატარა დამსვენებლები შესანიშნავად გრძნობენ თავს თავიანთ სანატორიუმში.

ე. პარმენაშვილი.

* * *

სურათებზე: ზევით — კეჩხობის დასასვენებელი სახლის ხედი. ქვევით — პატარა დამსვენებლები წაღვერის საბავშვო სანატორიუმის ეზოში ათვალიერებენ ილუსტრირებულ საბავშვო ჟურნალს.



ბაძლიერებულ წინააღმდეგობათა ვითარებაში

სტამბოლი, 31 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დალესის განცხადებამ ანკარის სესიაზე, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ბაღდადის პაქტის ქვეყნებს „საჩუქრად“ მისცემენ 10 მილიარდ დოლარს, „თუ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი ამას დაეთანხმა“, თურქეთის პრესაში აშკარა იმედგაცრუება გამოიწვია.

გაზეთი „ჯუმჰურიეთი“, რომელიც, როგორც სხვა გაზეთები, ანკარის სესიის წინ ამტკიცებდა, რომ მხოლოდ ამერიკის „დახმარების“ მნიშვნელოვან გადიდებას შეუძლია იხსნას ბაღდადის პაქტი, იძულებულია აღიაროს, რომ სესიაზე არ მოხერხდა ასეთი „დახმარების“ მიღება. „მისი მიღების შესაძლებლობა, — აცხადებს გაზეთი, — ახლა უფრო ნაკლებად მოსალოდნელი გახდა“.

პარიზი, 31 იანვარი. (საკდესი). კომენტარს უკეთებენ რა ბაღდადის პაქტის ანკარაში გუშინ დამთავრებულ სესიას, ფრანგული გაზეთები აღნიშნავენ დიდ წინააღმდეგობას პაქტის მონაწილე ქვეყნებს შორის, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების პოლიტიკის სიბეცეს ახლო აღმოსავლეთში.

გაზეთი „მონდი“ აღნიშნავს, რომ ანკარის სესიაზე იგრძნობოდა „იმედის გაცრუება, რომლის დამალვას არცკი ცდილობდნენ... ორი გადაწყვეტილება, რომლებიც ვაშინგტონმა და ლონდონმა წამოაყენეს ახლო აღმოსავლეთის პრობლემების მოსაწესრიგებლად, — ბაღდადის პაქტი და ეიზენჰაუერის დოქტრინა, — განაგრძობს გაზეთი, დღითიდღე სულ უფრო კარგავს ეფექტიანობას. იჩენს რა გასაოცარ დაჟინებას, რომლიც შეიძლება შევადაროთ მხოლოდ ფანტაზიის სრულ უქონლობას, ორივე ანგლო-საქსური მთავრობას არ შესწევს უნარი გამოძებნოს სხვა რაიმე“.

გაზეთი „კრუა“, თავის მხრივ, ყურადღებას აქცევს პაქტის წევრთა უთანხმოებას და ირონიულად აცხადებს, რომ „ბაღდადის პაქტის ერთადერთი წარმატება მხოლოდ ის არის, რომ იგი კიდევ არსებობს“.

გაუშვეს ამერიკული რაკეტი „იუპიტერი“ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრით

ნიუ-იორკი, 1 თებერვალი. (საკდესი). როგორც ამერიკის დეპეშათა სააგენტოები კეიპ-კანავერალიდან (ფლორიდის შტატი) იუწყებიან, 31 იანვარს 22 საათსა და 48 წუთზე ნიუ-იორკის დროით (1 თებერვალს 6 საათსა და 48 წუთზე მოსკოვის დროით) იქ გაუშვეს „იუპიტერის“ ტიპის რაკეტი, რომელსაც მიაქეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი. იმოწმებენ რა ამერიკის სარდლობის წარმომადგენლთა განცხადებებს, სააგენტოები აღნიშნავენ, რომ გაშვების საბოლოო შედეგი ცხადი გახდება საათნახევარი-ორი საათის შემდეგ.

თეთრი სახლის განცხადება

ნიუ-იორკი, 1 თებერვალი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ოგასტიდან (ჯორჯიის შტატი) იუწყება, თეთრი სახლის პრესის საკითხთა მდივანმა ჰეგერტიმ განაცხადა, რომ დედამიწის ამერიკული ხელოვნური თანამგზავრი, რომელიც გაუშვეს რაკეტ „იუპიტერის“ საშუალებით, გაყვანილია ორბიტაზე.

ქართველი რომანისტის კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“

Sujet digne d'une épopée

" LA DEXTRE DU GRAND MAITRE "

par le romancier géorgien

Constantin GAMSAKHOURDIA

POUR la connaissance des lettres soviétiques, elle aura été vraiment une grande année, cette année 1957 qui nous aura apporté la révélation de Sadriddine Aini, fait découvrir l'extraordinaire Louri Jenovski des Cercliers, et permis, géorgien dépasse ce qu'à première vue on e pu trouver dans son roman. Son personnage principal, et il s'en explique dans un bref épilogue, est l'architecte du roi Constantin Arsakidzé, esclave de Georges promu par lui à ces hautes fonctions et qui a

საფრანგეთის კომუნისტურმა გაზეთმა „ლუმანიტემ“ 1958 წლის 13 იანვრის ნომერში გამოაქვეყნა ბროგრესული კრიტიკოსის რეიე ბერეერონის წერილი, რომელშიც ნათქვამია: „1957 წელი მართლაც დიდი თარიღი აღმოჩნდა საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის გაცნობაში. ამ წელმა გვგვაცნო სადრიდინ აინი, აღმოგვიჩინა საოცარი იური იანოვსკი მისი „რაინდებით“... ამას დაერთო ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას გამოჩენა ჩვენს სამყაროში. გამომცემლობა „ედიტორ ფრანსე რეუნი“ გვთავაზობს დღეს მის „დიდოსტატის მარჯვენას“, რომანს, რომლის მსგავსს აღარ ქმნიან ჩვენი თანამედროვე მწერლები, რომელთათვის უცხო გახდა ეპიკური შინაარსი.

ეს ეპიკური შინაარსი, როგორც ჩანს, ახალი ქვეყნების მწერალთა საკუთრება გახდა.

აი „დიდოსტატის მარჯვენაც“. ათეული საუკუნის წინა საქართველოში, მეფეთ-მეფე გიორგის — „მეხიის მახვილს“ ბრძოლა უხდება არა მარტო თურქების, ბიზანტიის იმპერატორის და წარმართების წინააღმდეგ, არამედ ფეოდალების წინააღმდეგაც, რომლებიც აჯანყებას აწყობენ ყოველგვარი მიზეზის გამო და უმიზეზოდაც. იბრძვიან ველურად, უფრო მეტი ველურობით იძიებენ შურს დამარცხებულებზე, ანგრევენ ციხე-სიმაგრეებს, გავარვარებული შანთით აბრმავებენ ყველაზე მამაც მებრძოლებს, თავს ჰკვეთენ აჯანყების მეთაურებს, ზოგს ბნელ დილეგში ყრიან, ზოგს კოშკებიდან აგდებენ, იტაცებენ ქალიშვილებს, ძალად აქორწინებენ, ან მონაზნად აღკვეცენ.

ასეთია თითქმის ლეგენდარული ფონი, რომელზეც ვითარდებიან გამსახურდიას რომანის გმირები. დიდი გაქანების რომანისტის თხრობა ერთი წუთითაც არ კარგავს თავის სიძლიერეს. მწერლის მიერ შესანიშნავად დამუშავებულ ნაწარმოებში ვპოულობთ იმ ჩვენი ძველი რაინდული რომანების საკვირველებას, რომელთა ტონი აღადგინა „დიდოსტატის“ ავტორმა.

რომანის მთავარი გმირია კონსტანტინე არსაკიძე, რომელმაც სეტიცხოვლის ტაძარი ააშენა. ის მეფის ეჭვიანობის მსხვერპლი ხდება... დიდოსტატს მარჯვენა მოჰკვეთეს...

უნდა მივესალმოთ გამომცემლობა „ედიტორ ფრანსე რეუნის“ ღონისძიებას, რომელიც თავის მკითხველებს გეოგრაფიით გაფორმებულ წიგნებს სთავაზობს.

რეეი ბერეეროონი“.

„ოქროს ბალიკაში

წითელდროშოვანი ბალტიკის უკიდურეს დასავლეთ საზღვრებზე პატიოსნად მსახურობს ქართველი მატროსი გარი ორაკლის-ძე კაპანაძე.

სამხედრო-საზღვაო ფლოტში გაწვევამდე გარი კაპანაძე თბილისში მუშაობდა. მას უყვარდა სამხედრო საქმე, და იგი არმიისა და ფლოტის ხელმძღვანელობა ნებაყოფლობითი საზოგადოების წევრი გახდა, გატაცებით სწავლობდა ავტოსაქმეს, საავიაციო საქმესა და რადიოტელეგრაფს.

როდესაც საბჭოთა არმიაში გაწვევის დრო დადგა, მეგობრებმა და ამხანაგებმა დაბარეს:

— იმსახურე, გარი, ისე, რომ თანამემამულეები არ შეგვარცხვინო. ხალხისადმი სამსახური დიდი საქმეა!

კარგად დაამახსოვრდა ეს სიტყვები ახალგაზრდა მებრძოლს. სამსახურის პირველი დღეებიდანვე მან დაამახა ამოცანა — გაემართლებინა თანამემამულეთა ნდობა.

იგი გაგზავნეს შოფერთა სკოლაში, რომელიც მან წარმატებით დაამთავრა, რის შემდეგაც ჩარიცხეს ავიანაწილში ავიაციის ტექნიკის მომსახურებისათვის.

ძლიერ შეუყვარდა ეს პასუხსაგები სამუშაო მატროს კაპანაძეს. დავალებული საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით იგი სრულყოფილად დაეუფლა თავის სპეციალობას. მატერიალური ნაწილის მდგომარეობის ერთ-ერთი დათვალიერების დროს სარდლობამ მისი სპეციალური დანიშნულების ავტომანქანა ერთ-ერთ საუკეთესოდ ცნო.

სასწავლო-საბრძოლო მომზადებაში შესანიშნავი წარმატებებისათვის, თავისი მოვალეობის კეთილსინდისიერი შესრულებისათვის და პირადი დისციპლინიანობისათვის მატროსი გარი კაპანაძე მეთაურის ბრძანებით გამოცხადებულ იქნა ფრიადოსნად. წახალისების ბარათში ოცამდე მადლობა აქვს.

სამშობლო მზარიდან შორს მყოფი მატროსი კაპანაძე იცავს თავისი საყვარელი რესპუბლიკის მშვიდობიან ცხოვრებას. საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დიადი მე-40 წლისთავის წინა დღეებში იგი საბრძოლო სალამს უთვლის თავის თანამემამულეებს.

ვ. პოპოვი,
უფროსი ლეიტენანტი.

სურათზე: გარი კაპანაძე თავის მანქანაში.
ფოტო ავტორისა.

დეპეშა ანტარქტიკიდან

„ძვირფასო პიონერებო! ანტარქტიკიდან სალგურ „პიონერსკაიას“ კოლექტივი სულითა და გულით გისურვებთ ჯანმრთელობას და ბრწყინვალე წარმატებებს სწავლაში. ახლა ჩვენთან ანტარქტიკული ზაფხულია და საგრძნობლად „თბილა“. ტემპერატურა მინუს 29 გრადუსია, ადგილი, სადაც მოწყობილია ჩვენი სადგური „პიონერსკაია“, დაფარული ყინულის სქელი ფარით, რომლის სისქე სამ კილომეტრს აღწევს... მოგაწოდეთ თქვენს წარმატებებზე. მოხარული ვიქნებით მივიღოთ თქვენგან წერილი.

სალამით გარსევან კურდღელაიძე“.

ასეთი შინაარსის დეპეშა მოიტანა ამ დღეებში ფოსტალიონმა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში.

ბავშვობიდანვე იტაცებდა ხელოვნურ ბიუნუნს გარსევან კურდღელაიძეს ჩრდილოეთ პოლუსის დამპყრობთა სათავგადასავალო ცხოვრება. მას შედგენილი ჰქონდა სურათებიანი ფოტოალბომი ხელუსკინელებსა და პაპანინელებზე. თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის პირველ კურსზე იყო, როცა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე მის მიერ წარდგენილმა თემამ ანტარქტიკაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა. მეხუთე კურსზე როცა გადავიდა, გაიგო, რომ ეწყობოდა გეოლოგიური ჯგუფის ექსპედიცია ანტარქტიკაში, რომელსაც საერთაშორისო გეოფიზიკურ წელთან დაკავშირებით უნდა შეესწავლა ანტარქტიკის მყინვარების ფიზიკური თვისებები, მათი წარმოშობის პირობები, მოქმედება დედამიწის ზედაპირის განვითარებაზე.

ქართველმა ინჟინერმა — გლაციოლოგმა გარსევან კურდღელაიძემ სულ-ველი განაცხადა მონაწილეობა მიეღო ამ ექსპედიციაში. მან მოსკოვში გაიარა სპეციალური მომზადება, რის შემდეგ გასული წლის ნოემბერში დიზელ „ობით“ გაემგზავრა შორეულ ანტარქტიკულ ექსპედიციაში.

გარსევან ყინულის მუდმივ სამეფოში არ ავიწყდება მშობლიური საქართველო. თავისუფალ დროს იგი მიუჯდება რადიომიმღებს და ისმენს გადაცემებს ქართულ ენაზე.

პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის აქტივისტებმა შეადგინეს საპასუხო დეპეშა. და ანტარქტიკაში გაგზავნეს გარსევან კურდღელაიძის სახელზე. ამავე დროს სასახლის გეოგრაფიის კაბინეტში მოეწყო სპეციალური გამოფენა, მიძღვნილი ანტარქტიკის შესწავლისადმი.

გ. მესხენგისერი.

ნორჩ ალპინისტთა ბანაკი

ბაკურიანი, 31 იანვარი. (ტასი). ბაკურიანში, ალპინიზმის ბანაკში, ბოლო ორი კვირის განმავლობაში ალპინისტ-ინსტრუქტორებმა ჩაატარეს ალპინიზმის ელементების ინტენსიური სასწავლო-საბრძოლო სავარჯიშოები. ბანაკში ჩამოსულ ალპინისტ-ინსტრუქტორებს ბანაკის ადგილზე ალპინიზმის ელементებში ინსტრუქციას ალპინისტ-ინსტრუქტორ ალ. ბ. ბ. ბ